სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მე-10¹ მუხლის 3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №2239 განკარგულების საფუძველზე (SMP 170002515)
ფასიანი ბრიფების წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის მომსახურება (CPV66510000)
22.11.2017

COMPREHENSIVE GENERAL LIABILITY INSURANCE POLICY
ყოველმხრივი ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი
#CGL/C-000362/17
SCHEDULE
სერტიფიკატი

THIS SCHEDULE ALONG WITH APPLICATION FOR COMPREHENSIVE GENERAL LIABILITY INSURANCE, COMPREHENSIVE GENERAL LIABILITY POLICY TERMS AND ENDORSEMENT #1 FORMS AN ENTIRE INSURANCE CONTRACT (POLICY).

წინამდებარე სერტიფიკატი, ყოველმხრივი ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევის განაცხადი, ყოველმხრივი ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები და დამატება №1 წარმოადგენს ერთიან საშალზღვევო ხელშეკრულებას (პოლისს).

General info / ზოგადი ინფორმაცია:

Named Insured/ დამზღვეული:	**სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია**
Organizational Form of the Named Insured / დამზღვეულის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა:	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
Named Insured's Registration # / დამზღვეულის საიდენტიფიკაციო კოდი:	204578206
Named Insured's Legal Address / დამზღვეულის იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, სანაპიროს ქუჩა №4
Named Insured's Actual Address / დამზღვეულის ფაქტობრივი მისამართი:	საქართველო, თბილისი, სანაპიროს ქუჩა №4
Date of Named Insured's Registration / დამზღვეულის რეგისტრაციის თარიღი:	11.01.2012
Business of the Named Insured / დამზღვეულის საქმიანობა:	საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარების საფუძველზე, ქვეყანაში მაღალი საექსპორტო შემოსავლების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ან/და სხვა შემოსავლის წყაროს სამუალებით, საქართველოს პოპულარიზაციისა და საერთაშორისო და შიდა ტურისტული ნაკადების ზრდის მიზნით, ტურისტულად მიმზიდველი კომერციული ან/და არაკომერციული ხასიათის ღონისძიებების რეკლამა/პროპაგანდა, ტურისტულად მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.
Number of employees / დასაქმებულთა რაოდენობა:	60 (სამოცი)

Covers / დაფარვები:

a. **Coverage A - Bodily Injury & Property Damage / დაფარვა "ა" - სხეულისა და ქონებისათვის მიყენებული ზიანი:**

Annual Aggregate Limit/
წლიური აგრეგირებული ლიმიტი: 1,350,000.00 *(ერთი მილიონ სამას ორმოცდაათი ათასი)* **ლარი**

Aggregate Sublimit for General Bodily Injury & Property Damage /
აგრეგირებული ქველიმიტი სხეულისა და ქონების ზოგადი ზიანისათვის: **1,350,000** *(ერთი მილიონ სამას ორმოცდაათი ათასი)* **ლარი**

Aggregate Sublimit for Products & Completed Operations Hazard /
აგრეგირებული ქველიმიტი პროდუქტებისა და დასრულებულ სამუშაოთა საფრთხის დაზღვევისათვის:
NIL (NOT Covered) / **ნული (არ არის დაფარული)**

Any One Event Limit in respect of General Bodily Injury & Property Damage /
ლიმიტი თითოეული შემთხვევისათვის სხეულისა და ქონების ზოგადი ზიანისათვის: **270,000.00** *(ორას სამოცდაათი ათასი)* **ლარი**

Deductible /
ფრანშიზა: 1,350.00 ლარი ქონებისთვის მიყენებული ზიანისათვის, ნული სხეულისთვის მიყენებული ზიანისათვის

Some cover details / დაფარვის ზოგიერთი დეტალი:
The cover with respect to bodily injury / property damage in connection with ownership /possession /maintenance / operation of mobile equipment is provided only if the list of such equipment is attached to the schedule in form of dully signed and sealed by Insurer attachment.
დაფარვა სხეულისა და ქონების ზიანთან მიმართებაში, რომელიც დაკავშირებულია მობილური მოწყობილობის საკუთრებასთან / ფლობასთან / მფლობასთან / მართვასთან / მუშაობასთან, მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მოწყობილობების სია თან ერთვის სერტიფიკატს სათანადოდ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული დანართის სახით.

b. **Coverage B - Personal & Advertising injury / დაფარვა "ბ"- პირადი და სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებული ზიანი:**
NOT Covered / არ არის დაფარული

c. **Coverage C - Medical Payment / დაფარვა "გ" – სამედიცინო ხარჯები:**
NOT Covered / არ არის დაფარული

Coverage territory / დაფარვის ტერიტორია:

საქართველო, თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N 15ა - ოლიმპიური სასახლე

Policy period / პოლისის პერიოდი;

2017 წლის 25 ნოემბრიდან 2017 წლის 26 ნოემბრამდე (ორივე თარიღის ჩათვლით)

Retroactive date / რეტროაქტიური თარიღი:

2017 წლის 25 ნოემბერი

Premium, Premium payment terms / პრემია, პრემიის გადახდის პირობები;

4,405.00 *(ოთხი ათას ოთხას ხუთი)* ლარი
პრემია გადაიხდება ერთჯერადად, წინამდებარე პოლისის გაცემისთანავე

Endorsement(s) / დანართ(ებ)ი

The Following Endorsement is attached to and forms part of the Policy/
ქვემოთ მითითებული დანართ(ებ)ი თან ერთვის სადაზღვეო ხელშეკრულებას (პოლისს) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

დანართი №1 - პროფესიული პასუხისმგებლობის გამონაკლისი

Policy issuance date, final declarations and signatures of the parties /
პოლისის გაცემის თარიღი, მხარეთა საბოლოო დეკლარაცია და ხელმოწერები:

By signing the policy the Insured declares that all the information provided in the Schedule and in the Application for this policy is true accurate and complete as to his best knowledge, that he has read and understood the insurance contract and that he fully agrees with the insurance terms.
წინამდებარე პოლისზე ხელმოწერით დამზღვეული დასტურებს, რომ, რამდენადაც მისთვის ცნობილია, სერტიფიკატსა და წინამდებარე პოლისისათვის წარმოდგენილ განაცხადში მოცემული ინფორმაცია არის ნამდვილი, ზუსტი და სრული და რომ მან წაიკითხა და გაიაზრა სადაზღვეო ხელშეკრულება და სრულად ეთანხმება დაზღვევის პირობებს.

On behalf of the Insurer / მზღვეველის სახელით:
JSC Insurance Company Aldagi /
სს "სადაზღვეო კომპანია ალდაგი"
3, Pushkin Str., 0105 Tbilisi, Georgia; ID 404476189;
ს/ნ 404476189; მის.: საქართველო, თბილისი, პუშკინის ქ. № 3

G. Baratashvili / გ.ბარათაშვილი ----------
General Director / გენერალური დირექტორი

Date / თარიღი: 24/11/2017

On behalf of the Named Insured / დამზღვეულის სახელით:
სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

Legal Address/იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ხანაძეროს ქუჩა №4
Actual Address/ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №15ა – ოლიმპიური სასახლე

Date / თარიღი:

In the event of any offence, accident or event , which may result in a claim under this Policy, immediate notice should be given to Call Centre on the following tel. number: (+995 322) 2 444-999
ნებისმიერი პრეტენზიის ან გარემოების დადგომის შემთხვევაში, რომელიც შესაძლოა გახდეს ამ პოლისით გათვალისწინებული პრეტენზიის წამოყენების საფუძველი, ვთხოვთ, დაუკავშირდეთ ქოლ-სენტრს შემდეგ ნომერზე: + 995 322 444-999

ᲥᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

წინამდებარე **პოლისში**, ტერმინები **თქვენ** ნიშნავს **სერტიფიკატში** მითითებულ **დამზღვევს** და ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს **პოლისის** მოთხოვნებს და განიხილება **დაზღვეულად** წინამდებარე **პოლისის** შესაბამისად. ტერმინები **ჩვენ/ჩვენი** ნიშნავს სადაზღვეო კომპანია **ალდაგს**.

ტერმინი **დაზღვეული** ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პოლისის II სექციის – ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ **ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲣᲚᲘ** მოთხოვნებს და განიხილება ასეთად აღნიშნული სექციით.
სხვა სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც წინამდებარე **პოლისში** მოცემულია გამოყოფილად (bold type), აქვთ სპეციალური მნიშვნელობა. იხილეთ სექცია V – ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲔᲑᲘ.
წინამდებარე **პოლისით** გათვალისწინებული დაფარვა წარმოადგენს *პრეტენზიაზე დაფუძნებულ* დაფარვას. თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ასეთი დაფარვა მოქმედებს მხოლოდ იმ *პრეტენზიების მიმართ, რომლებიც პირველად წარდგენილია* **დაზღვეულის** *წინააღმდეგ* და ამავდროულად, შეტყობინებულია **ჩვენთვის** **პოლისის** **პერიოდის** განმავლობაში.

I ᲡᲔᲥᲪᲘᲐ - ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲔᲑᲘ

ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲐ "Ა" - ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

1. ᲡᲐᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲝ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

ა. **ჩვენ** ავანაზღაურებთ იმ თანხებს, რომლის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება ეკისრება **დაზღვეულს** **სხეულისა** **და** **ქონების** ამ დაზღვევით გათვალისწინებული **ზიანით** გამოწვეული ზარალისათვის. **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ დავიცვათ **დაზღვეული** ნებისმიერი ასეთი ზარალის ანაზღაურების მიზნით წარდგენილი ნებისმიერი **სარჩელისაგან**. **ჩვენ**, **ჩვენი** გადაწყვეტილებისამებრ შეიძლება გამოვიძიოთ ნებისმიერი შემთხვევა და დავარეგულიროთ ნებისმიერი პრეტენზია ან **სარჩელი**, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, მაგრამ:

ჩვენს მიერ ზარალისათვის ასანაზღაურებული თანხა შემოიფარგლება III სექციით - ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲚᲘᲛᲘᲢᲔᲑᲘ და **სერტიფიკატით** გათვალისწინებული ოდენობითა და წესით.

არანაირი სხვა ვალდებულება ან პასუხისმგებლობა თანხის გადახდის ან ამათუიმ ქმედების შესრულების ან მომსახურების გაწევის შესახებ არ ექვემდებარება დაფარვას, თუკი აღნიშნული პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲔᲑᲘᲗ – ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ "Ა" ᲓᲐ "Ბ".

ბ. წინამდებარე დაზღვევა ვრცელდება **სხეულისა** და **ქონების** **ზიანზე** მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

(1) ასეთი **სხეულის** ან **ქონების ზიანი** გამოწვეულია **შემთხვევით,** რომელსაც ადგილი აქვს **დაფარვის ტერიტორიაზე;**
(2) ასეთი **სხეულის** ან **ქონების ზიანი** პირველად ცხადი გახდა და **ჩვენთვის** შეტყობინებული იქნა **პოლისის პერიოდის** განმავლობაში;
(3) **შემთხვევა,** რომელმაც გამოიწვია **სხეულის ან ქონების ზიანი,** მოხდა **რეტროაქტიული თარიღის** შემდეგ;
(4) პრეტენზია ან **სარჩელი,** ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით ასეთი **სხეულისა** თუ **ქონების ზიანისათვის,** წარდგენილია **სერტიფიკატით** განსაზღვრულ **დაფარვის ტერიტორიაზე.**

გ. ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, **ჩვენს** მიერ წინამდებარე სექციით ზარალის ანაზღაურება ხორციელდება მხოლოდ **თქვენი** პასუხისმგებლობის მოცულობის შესახებ სასამართლოს/არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. აღნიშნული მიზნით არცერთ შემთხვევაში არ იგულისხმება **დაზღვეულის** საზიანოდ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, კანონიერ ძალაში არის იგი შესული, თუ - არ;

დ. **ჩვენ, ჩვენი** დისკრეციით შეგვიძლია დავარეგულიროთ პრეტენზია სასამართლოს/არბიტრაჟის გადაწყვეტილების გარეშე, თუ **თქვენ** თანხმდებით **ჩვენს** შემოთავაზებას ასეთი ანაზღაურების შესახებ და გვათავისუფლებთ ყოველგვარი სახის შემდგომი პასუხისმგებლობისგან/პრეტენზიისაგან **შემთხვევასთან** დაკავშირებით.

2. გამონაკლისები

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება:

ა. მოსალოდნელი ან განზრახ მიყენებული ზიანი

სხეულის ან **ქონების ზიანი,** რომელიც მოსალოდნელია **დაზღვეულის** თვალთახედვით ან მან ასეთი განზრახ გამოიწვია. ეს გამონაკლისი არ ვრცელდება **სხეულის ისეთ ზიანზე,** რომელიც გამომდინარეობს ადამიანების ან ქონების დაცვის მიზნით გონივრულობის ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად.

ბ. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა

სხეულის ან **ქონების ზიანი,** რომლით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება **დაზღვეულს** ეკისრება ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი პასუხისმგებლობის ძალით, გარდა (მხოლოდ **პროდუქტებისა და დასრულებულ სამუშაოთა საფრთხის დაზღვევის** პირობებით ანაზღაურების მიზნებისათვის და იმ პირობით, რომ **სხეულისა** და **ქონების ზიანი** მოცემული იქნება **პროდუქტებისა და დასრულებულ სამუშაოთა საფრთხის დაზღვევის** განმარტების ფარგლებში):
ისეთი პასუხისმგებლობისა, რომელიც ნაკისრია **თქვენს საქმიანობასთან** დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულების ან შეთანხმების იმ ნაწილით, რომლითაც **თქვენ** კისრულობთ სხვა პირის დელიქტური პასუხისმგებლობის

დადგომით მესამე პირთა **სხეულის** ან **ქონების ზიანის** ანაზღაურებას, იმ პირობით, თუ **სხეულის** ან **ქონების ზიანი** დგება ასეთი ხელშეკრულების ან შეთანხმების აღსრულების შედეგად.

გ. ალკოჰოლურ სასმელებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა

სხეულის ან **ქონების ზიანი,** რომლისთვისაც შეიძლება დადგეს **დაზღვეულის** პასუხისმგებლობა

(1) პირის ინტოქსიკაციის გამოწვევის ან აღნიშნულისათვის ხელის შეწყობის გამო;

(2) ალკოჰოლური სასმელის მიწოდების გამო იმ პირთათვის: ა) რომელთა ასაკიც არ აღამატება ალკოჰოლური სასმელების მოხმარების კანონით დადგენილ ასაკობრივ ლიმიტს ან ბ) რომლებიც იმყოფებიან ალკოჰოლის ზეგავლენის ქვეშ; ან

(3) ალკოჰოლური სასმელების გაყიდვის, გაჩუქების, დისტრიბუციის ან გამოყენების მარეგულირებელი ან სხვა კანონმდებლობის საფუძველზე;

წინამდებარე გამონაკლისი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **თქვენ** აწარმოებთ ალკოჰოლურ სასმელებს, ეწევით დისტრიბუციას, ვაჭრობას ან მიწოდებას.

დ. დასაქმებულის კომპენსაციის მარეგულირებელი და სხვა მსგავსი კანონმდებლობა/ პასუხისმგებლობა

დაზღვეულის პასუხისმგებლობა უმუშევართა სოციალური დაცვის, შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის ან სხვა მსგავსი კანონმდებლობის საფუძველზე.

ე. დამსაქმებლის პასუხისმგებლობა

სხეულის ზიანი, რომელიც მიადგა:

(1) **დაზღვეულის დასაქმებულს** და გამოწვეულია

(ა) **დაზღვეულის** მიერ მისი დაქირავების დროს და შედეგად; ან
(ბ) **დაზღვეულის** საქმიანობასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას; ან

(2) **დასაქმებულის** მეუღლეს, შვილს, მშობელს, დას ან ძმას (1) პუნქტში მითითებული გარემოებების შედეგად.

წინამდებარე გამონაკლისი ვრცელდება:

(1) შემთხვევებზე, როდესაც **დაზღვეულის** პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს როგორც დამსაქმებლის ისე ნებისმიერი სხვა სახით; და

(2) ნებისმიერ პასუხისმგებლობაზე ნებისმიერ სხვა პირთან ერთად ზარალის გაზიარებასთან დაკავშირებით ან იმ პირისათვის/პირის ნაცვლად ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ვინც პასუხისმგებელია ზიანის გამო ასეთ ანაზღაურებაზე.

3. **ᲓᲐᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔᲑᲐ**

(1) **სხეულის** ან **ქონების ზიანი** გამოწვეული **პოლუტანტების** ფაქტობრივი, ნავარაუდევი ან მოსალოდნელი გაბნევით, გაფანტვით, გაუონვით, გადაადგილებით, გაშვებით ან გამოდევნით, გარდა:

ა. **სხეულის ზიანისა,** თუ მიყენებულია შენობაში და გამოწვეულია შენობის გასათბობად გამოყენებული მოწყობილობიდან გამომავალი კვამლით, ორთქლით ან ჭვარტლით.

ბ. **სხეულის** ან **ქონების ზიანისა,** რომელიც გამოწვეულია **ხანძრისგან** მომდინარე სიცხის, კვამლის ან ბოლისაგან.

გ. **სხეულის** ან **ქონების ზიანისა** გამომდინარე საწვავის, ლუბრიკანტის ან სხვა საოპერაციო სითხეების გაუონვით, რომლებიც საჭიროა **მობილური მოწყობილობის** ან მისი ნაწილების მუშაობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ნორმალური ელექტრო, ჰიდრავლიკური ან მექანიკური ფუნქციების შესასრულებლად, თუ ასეთი საწვავის, ლუბრიკანტის ან სხვა საოპერაციო სითხის გაუონვა ხდება მანქანის იმ ნაწილიდან, რომელიც შექმნილია ასეთი სითხის შენახვის ან მიღებისთვის. წინამდებარე გამონაკლისი არ გამოიყენება, თუ **სხეულის** ან **ქონების ზიანი** გამოწვეულია საწვავის, ლუბრიკანტების ან საოპერაციო სითხეების განზრახ გაშვებით ან გაბნევით, ან თუ ასეთი საწვავი, ლუბრიკანტები ან საოპერაციო სითხეები მიტანილია ისეთ უძრავ ქონებაზე, ადგილმდებარეობაზე ან საიტზე, სადაც უნდა მოხდეს მათი გაშვება, ან გაბნევა, როგორც **დაზღვეული,** კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შემადგენელი ნაწილი.

დ **სხეულის** ან **ქონების ზიანისა, რომელიც** მიყენებულია შენობაში და გამოწვეულია გაზის, ბოლის ან ორთქლის გამოშვებით იმ მასალებისაგან, რომლებიც შეტანილი იქნა შენობაში **თქვენს** ან **თქვენი** სახელით კოტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის მიერ განხორციელებულ სამუშაოსთან დაკავშირებით;

(2) ნებისმიერი დანაკარგი ან ხარჯი გამომდინარე:

(ა) ნებისმიერი ბრძანებიდან, განკარგულებიდან, დადგენილებიდან, სხვა მსგავსი აქტიდან ან კანონისმიერი მოთხოვნიდან, რომლითაც **დაზღვეული** ან სხვა პირები ახორციელებენ ტესტირებას, მონიტორინგს, წმენდას, მოშორებას, შეგროვებას, გადამუშავებას, გაუვნებელყოფას ან ნეიტრალიზაციას ან ნებისმიერი გზით **პოლუტანტების** ზემოქმედებაზე რეაგირების მოხდენას ან მათი ზეგავლენის შეფასებას; ან

(ბ) სახელმწიფო ორგანოს მიერ ან მისი სახელით წარდგენილი პრეტენზიიდან ან **სარჩელიდან** ზარალისათვის, რომელიც გამოწვეულია ტესტირების, მონიტორინგის, გაწმენდის, მოშორების, შეგროვების, გადამუშავების, გაუვნებელყოფის ან ნეიტრალიზაციის ან ნებისმიერი გზით **პოლუტანტების** ზემოქმედებაზე რეაგირების მოხდენის ან მათი ზეგავლენის შეფასების გამო.

ზ. საჰაერო ხომალდი, ავტომობილი ან საწყლოსნო ხომალდი

სხეულის ან **ქონების ზიანი** გამოწვეული იმ საჰაერო ხომალდის, **ავტომობილის** ან საწყალოსნო ხომალდის საკუთრებაში ყოფნით, მფლობელობით, მოვლით, გამოყენებით ან სხვისთვის მინდობით, რომელიც იმყოფება **დაზღვეულის** საკუთრებაში ან მფლობელობაში, იმართება, დაქირავებულია ან დაგირავებულია მის მიერ. გამოყენება გულისხმობს ნებისმიერი სამუშაოს განხორციელებას და დატვირთვას- გადმოტვირთვას ან სხვა ნებისმიერი სახის ექსპლოატაციას.

თ. მობილური მოწყობილობა

სხეულის ან **ქონების ზიანი**, რომელიც გამოწვეულია:

(1) **მობილური მოწყობილობის** ტრასპორტირების შედეგად **ავტომობილით**, რომელიც იმყოფება **დაზღვეულის** საკუთრებაში ან მფლობელობაში, იმართება, დაქირავებულია ან დაგირავებულია მის მიერ; ან

(2) **მობილური მოწყობილობის** გამოყენებით წინასწარ დაგეგმილი რბოლებსა თუ კასკადიორულ აქტივობებში, შენობა-ნაგებობების დანგრევის/განადგურებისას ან ასეთი აქტივობებისთვის მოსამზადებელ პროცესში.

ი. ომი

სხეულის ან **ქონების ზიანი**, რომელიც გამოწვეულია ომის შედეგად, მიუხედავად იმისა გამოცხადებულია იგი, თუ - არა, ან ომის წინმსწრები/მაპროვოცირებელი ნებისმიერი ქმედების ან პირობის შედეგად. ამ დაზღვევის მიზნებისათვის ომი მოიცავს სამოქალაქო ომს, ამბოხს, ბუნტს, შეჭრას, მტრულ ქმედებას, სამოქალაქო მღელვარებას, ტერორიზმს, სამხედრო ან უზურპირებული ძალის მოქმედებას, აჯანყებას ან რევოლუციას.

კ. ქონებისათვის მიყენებული ზიანი

ქონების ზიანი, რომელიც მიადგა:

(1) ქონებას, რომელსაც **თქვენ** ფლობთ ან იმყოფება თქვენს საკუთრებაში, ქირაობთ ან დაკავებული გაქვთ;

(2) უძრავ ქონებას, რომელსაც **თქვენ** ყიდით, გადასცემთ ან მიატოვებთ, თუ **ქონების ზიანი** გამოწვეულია ასეთი უძრავი ქონების რომელიმე ნაწილიდან;

(3) **თქვენთვის** მოქირავებულ ქონებას;

(4) **დაზღვეულის** მზრუნველობის, მეურვეობის ან კონტროლის ქვეშ მყოფ სხვა პირთა პირად ქონებას;

(5) უძრავი ქონების იმ კონკრეტულ ნაწილს, რომელზეც **თქვენ** ან პირდაპირ ან არაპირდაპირ თქვენს სასარგებლოდ მომუშავე კონტრაქტორები ან ქვე-კონტრაქტორები ასრულებთ სამუშაოებს, თუ ქონების ზიანი გამოწვეულია ამ სამუშაოების შედეგად; ან

(6) ქონების იმ კონკრეტულ ნაწილს, რომელიც უნდა აღდგეს, შეკეთდეს ან შეიცვალოს, რადგანაც **თქვენი სამუშაო** არასწორად იქნა მასზე შესრულებული.

ლ. **თქვენი პროდუქტისთვის მიყენებული ზიანი**

ქონების ზიანი, რომელიც მიადგა **თქვენს პროდუქტს** და გამოწვეულია მისგან ან მისი რომელიმე ნაწილისგან.

მ. **თქვენი სამუშაოსთვის მიყენებული ზიანი**

ქონების ზიანი, რომელიც მიადგა **თქვენს სამუშაოს** და გამოწვეულია მისგან ან მისი რომელიმე ნაწილისგან

ნ. **ქონების ზიანი, მიყენებული ქონებისათვის, რომელიც მოიცავს თქვენს სამუშაოს და პროდუქტს**

ქონების ზიანი, მიყენებული ქონებისათვის, რომელიც მოიცავს **თქვენს პროდუქტს** და **თქვენს** სამუშაოს.

ო. **იმ ქონების ზიანი, რომელიც არ დაზიანებულა ფიზიკურად**

ქონების ზიანი იმ ქონებისა, რომელიც ფიზიკურად არ დაზიანებულა

პ. **პროდუქტების, სამუშაოს ან ხარისხობრივად გაუარესებული ქონების უკან გამოთხოვა**

ზარალი ზიანისათვის, **თქვენს** ან სხვა პირთა მიერ გაღებული ხარჯებისთვის

(1) **თქვენი პროდუქტის;**
(2) **თქვენი სამუშაოს;** ან
(3) **ხარისხობრივად გაუარესებული ქონების**

ფუნქციის დაკარგვის, უკან გახმობის, გამოთხოვის, ინსპექტირების, შეკეთების, შეცვლის, შესწორების, მოშორების ან გადაცემის გამო,

თუ ასეთი პროდუქტი, სამუშაო ან ქონება გამოხმობილი ან გამოთხოვილია ბაზრიდან ან ამოღებულია ხმარებიდან ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ცნობილი ან შემჩნეული დეფექტის, ნაკლის, არაადექვატურობის ან მასში საშიში პირობების არსებობის გამო.

ჟ. **პროდუქტის გარანტია**

ნებისმიერი ზიანი გამოწვეული **თქვენი პროდუქტის** ან **თქვენს** მიერ იმ შედეგების მიღწევის შეუძლებლობით, რაზეც პირდაპირ გაცემული გაქვთ გარანტია ისე, რომ გარანტია აღემატება ვალდებულებებს, რომელიც ჩვეულებრივ დაგეკისრებოდათ კანონით.

რ. **შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმიანობა**

სხეულის ზიანი, რომელიც მიადგა:

(1) პირს და გამომდინარეობს ნებისმიერი შემდეგი გარემოებით:
   (ა) ასეთი პირის დასაქმებაზე უარის თქმა;
   (ბ) ასეთ პირთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა; ან
   (გ) შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმიანობა, პოლიტიკა, ქმედებები და შეცდომები, როგორებიცაა იძულება, დაქვეითება, შეფასება, დანიშნულების/უფლება-მოვალეობების შეცვლა, დისციპლინა, ცილისწამება, შეურაცხყოფა, დამცირება ან დისკრიმინაცია მიმართული ასეთი პირის მიმართ; ან

(2) იმ პირის მეუღლეს, შვილს, მშობელს, ძმას ან დას იმ პირის **სხეულის ზიანის** შედეგად, რომლისკენაც მიმართულია ზემოხსენებული პუნქტის ა, ბ ან გ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული ქმედებები.

წინამდებარე გამონაკლისი ვრცელდება:

(1) შემთხვევებზე, როდესაც **დაზღვეულის** პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს როგორც დამსაქმებლის ისე ნებისმიერი სხვა სახით; და

(2) ნებისმიერ პასუხისმგებლობაზე ნებისმიერ სხვა პირთან ერთად ზარალის გაზიარებასთან დაკავშირებით ან იმ პირისათვის/პირის ნაცვლად ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ვინც პასუხისმგებელია ზიანის გამო ასეთ ანაზღაურებაზე.

ს. **პირადი ან სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებული ზიანი**

სხეულის ზიანი გამოწვეული პირადი ან სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებული ზიანით.

ტ. **აზბესტი**

ქონების ან **სხეულის ზიანი,** რომელიც გამოწვეულია აზბესტის პროდუქტების, აზბესტის ძაფების ან მტვრის წარმოების, მოპოვების, გამოყენების, გაყიდვის ინსტალაციის, მოშორების, დისტრიბუციის ან მათთან ზემოქმედების შედეგად, ან **დაზღვეულის** ნებისმიერ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, აუნაზღაუროს ზარალი სხვა პირს ქონების ან **სხეულის** ისეთი **ზიანისათვის,** რომელიც გამოწვეულია აზბესტის პროდუქტების, აზბესტის ძაფების ან მტვრის წარმოების, მოპოვების, გამოყენების, გაყიდვის, ინსტალაციის, მოშორების, დისტრიბუციის ან მათთან ზემოქმედების შედეგად.

უ. ბირთვული რისკები

წინამდებარე **პოლისი** არ ფარავს პასუხისმგებლობას პრეტენზიებისთვის, რომლებიც გამომდინარეობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან მათ წამოყენებაში წვლილი მიუძღვის:

(ა) ბირთვული საწვავის ან ბირთვული საწვავის წვის შედეგად გამოყოფილი წვის პროდუქტების რადიოაქტიურობით გამოწვეულ იონიზირებულ რადიაციას ან დაბინძურებას;

(ბ) ნებისმიერ ფეთქებად ბირთვულ ნივთიერებათა ერთობლიობის ან მისი შემადგენელი ნაწილის რადიოაქტიურ, ტოქსიკურ, ფეთქებად ან სხვა საშიშ თვისებებს.

ფ. მაგნიტური ან ელექტრომაგნიტური ზემოქმედება

წინამდებარე **პოლისი** არ ფარავს ზიანს ან პასუხისმგებლობას, რომელიც გამომდინარეობს, ან მის დადგომას ხელი შეუწყო პირდაპირ ან ირიბად მაგნიტურმა ან ელექტრომაგნიტურმა ზემოქმედებამ, ან მისგან რაიმე სახით გამოწვეულმა რადიაციამ.

დაფარვა "ბ" - პასუხისმგებლობა პირადი და სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებული ზიანისათვის – არ არის დაფარული

1. სადაზღვევო შეთანხმება

ა. **ჩვენ** ავანაზღაურებთ იმ თანხებს, რომლის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება ეკისრება **დაზღვეულს პირადი ან სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებული** ამ დაზღვევით გათვალისწინებული **ზიანით** გამოწვეული **ზარალისათვის. ჩვენ** უფლებამოსილი ვართ დავიცვათ **დაზღვეული** ნებისმიერი ასეთი ზარალის ანაზღაურების მიზნით წარდგენილი ნებისმიერი **სარჩელისგან. ჩვენ, ჩვენი** გადაწყვეტილებისამებრ, შეგვიძლია გამოვიძიოთ ნებისმიერი **გადაცდომა** და დავარეგულიროთ ნებისმიერი პრეტენზია ან **სარჩელი,** რომელიც შეიძლება წარმოიშვას, მაგრამ:

ჩვენს მიერ ზარალისათვის ასანაზღაურებული თანხა შემოიფარგლება III სექციით - **დაზღვევის ლიმიტები** და **სერტიფიკატით** გათვალისწინებული ოდენობითა და წესით;

არანაირი სხვა ვალდებულება ან პასუხისმგებლობა თანხის გადახდის ან ამათუიმ ქმედების შესრულების ან მომსახურების გაწევის შესახებ არ ექვემდებარება დაფარვას, თუკი არნიშნული პირდაპირ არაა გათვალისწინებული **დამატებითი გადახდებით** – **დაფარვები "ა" და "ბ".**

ბ. წინამდებარე დაზღვევა ვრცელდება **პირად და სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებულ ზიანზე,** რომელიც გამოწვეულია **გადაცდომით,** რომელიც გამომდინარეობს **თქვენი საქმიანობიდან,** მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

გადაცდომა ჩადენილი იქნა **დაფარვის ტერიტორიაზე** და შეტყობინებული იქნა **სადაზღვეო პერიოდის** განმავლობაში.

გ. ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, **ჩვენს** მიერ წინამდებარე სექციით ზარალის ანაზღაურება ხორციელდება მხოლოდ **თქვენი** პასუხისმგებლობის მოცულობის შესახებ სასამართლოს/არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. აღნიშნული მიზნით არცერთ შემთხვევაში არ იგულისხმება **დაზღვეულის** საზიანოდ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, კანონიერ ძალაში არის იგი შესული, თუ - არ;

დ. **ჩვენ, ჩვენი** დისკრეციით შეგვიძლია დავარეგულიროთ პრეტენზია სასამართლოს/არბიტრაჟის გადაწყვეტილების გარეშე, თუ **თქვენ** თანხმდებით **ჩვენს** შემოთავაზებას ასეთი ანაზღაურების შესახებ და გვათავისუფლებთ ყოველგვარი სახის შემდგომი პასუხისმგებლობისგან **შემთხვევასთან** დაკავშირებით.

2. გამონაკლისები

წინამდებარე დაზღვევა არ ვრცელდება ისეთ პირად ან სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს:

ა. სხვისი უფლებების შეგნებულ/განზრახ დარღვევას

რაც გამოწვეულია **დაზღვეულის** მიერ ან მისი ხელმძღვანელობით/მონაწილეობით, იმ ფაქტის გაცნობიერებით, რომ მის ქმედებას შეეძლო სხვისი უფლებების შელახვა და **პირადი და სარეკლამო ზიანის მიყენება.**

ბ. სიყალბის/მცდარობის შეცნობით გამოქვეყნებულ მასალას

რაც გამოწვეულია მასალების ზეპირი ან წერილობითი გამოქვეყნებით, თუ შესრულებულია **დაზღვეულის** მიერ ან მისი ხელმძღვანელობით/მონაწილეობით ასეთი მასალების სიყალბის/მცდარობის შეცნობით.

გ. მასალებს, რომლებიც გამოქვეყნებულია დაზღვევის პერიოდის დაწყებამდე

რაც გამოწვეულია მასალების ზეპირი ან წერილობითი გამოქვეყნებით, რომელთა პირველად გამოქვეყნება მოხდა **პოლისის პერიოდის** დაწყებამდე.

დ. კრიმინალურ აქტებს

რაც გამოწვეულია **დაზღვეულის** მიერ ან მისი ხელმძღვანელობით/მონაწილეობით ჩადენილი კრიმინალური ქმედებით;

ე. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას

რომლისთვისაც **დაზღვეულმა** აიღო პასუხისმგებლობა ნებისმიერი ხელშეკრულების/გარიგების (ზეპირი თუ წერილობითი) საფუძველზე. ეს გამონაკლისი არ ვრცელდება ზარალისათვის ისეთ პასუხისმგებლობაზე, რომელიც **დაზღვეულს** დაეკისრებოდა ასეთი ხელშეკრულების/გარიგების არარსებობის შემთხვევაშიც.

გ. ხელშეკრულების დარღვევას

გამომდინარე ნებისმიერი ხელშეკრულების/გარიგების (ზეპირი თუ წერილობითი) დარღვევიდან.

ზ. საქონლის ხარისხს – რეკლამასთან შეუსაბამობას

გამომდინარე საქონლის, პროდუქციის ან მომსახურების შეუსაბამობით **თქვენს** რეკლამაში ხარისხის ან შესრულების შესახებ გაკეთებულ განცხადებებთან.

თ. ფასების არასწორ აღწერილობას

რაც გამოწვეულია **თქვენს** რეკლამაში დასახელებული საქონლის, პროდუქციის ან მომსახურების ფასების არასწორი აღწერილობით.

ი. საავტორო უფლებების, საპატენტო უფლებების, სასაქონლო ნიშანზე უფლების ან კომერციულ საიდუმლოების დარღვევას

პირადი და სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებული ზიანი, რომელიც გამომდინარეობს საავტორო და საპატენტო უფლებების, სასაქონლო ნიშანზე უფლების, კომერციული საიდუმლოების ან ინტელექტუალური საკუთრების სხვა ნებისმიერი უფლების დარღვევით.
თუმცა, აღნიშნული გამონაკლისი არ ეცელდება **თქვენს** რეკლამაში საავტორო უფლების, სასაქონლო იერსახის ან სლოგანის დარღვევაზე.

კ. დაზღვეულის მედია და ინტერნეტ საქმიანობას

ჩადენილი **დაზღვეულის** მიერ, რომლის საქმიანობას წარმოადგენს რეკლამირება, ტელე-რადიო მაუწყებლობა ან საგამომცემლო საქმე. თუმცა, აღნიშნული გამონაკლისი არ ეხება ტერმინთა განმარტებების სექციის **პირადი და სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებული ზიანის** ა, ბ და გ პუნქტებს.

ლ. ელექტრონული სადისკუსიო ფორუმს ან განცხადებების დაფას

პირადი და სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებული ზიანი, გამომდინარე ელექტრონული სადისკუსიო ფორუმიდან ან განცხადებების დაფიდან, რომელთაც ფლობს, აკონტროლებს ან რომელთა ჰოსტინგსაც აწარმოებს **დამზღვევი** ან იმყოფება **დამზღვევის** საკუთრებაში.

მ. სხვისი სახელის ან პროდუქტის არაუფლებამოსილ გამოყენებას

პირადი ან სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებული ზიანი, გამოწვეული სხვისი სახელის ან პროდუქტის არაუფლებამოსილი გამოყენებით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართში, დომეინის დასახელებაში ან მეტათაგში, ან სხვა ნებისმიერი მსგავსი ტაქტიკა/ქმედება სხვის პოტენციურ კლიენტთა შეცდომაში შეყვანის მიზნით.

ნ. დაბინძურებას

პირადი ან სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებული ზიანი, გამოწვეული **პოლუტანტების** ნებისმიერ დროს ფაქტიური, სავარაუდო ან მოსალოდნელი გამოფრქვევით, გავრცელებით, გამოჟონვით, გადაადგილებით, გამოშვებით ან

გამოღწევით.

ო. დაბინძურებასთან დაკავშირებულ

ნებისმიერ დანაკარგს, ან ხარჯს, რომელიც გამომდინარეობს:

(1) ნებისმიერი ბრძანებიდან, განკარგულებიდან სხვა მსგავსი აქტიდან ან მოთხოვნიდან, რომლითაც **დაზღვეული** ან სხვა პირები ახორციელებენ ტესტირებას, მონიტორინგს, წმენდას, მოშორებას, შეგროვებას, გადამუშავებას, გაუვნებელყოფას ან ნეიტრალიზაციას ან ნებისმიერი გზით **პოლუტანტების** ზემოქმედებაზე რეაგირების მოხდენას ან მათი ზეგავლენის შეფასებას; ან

(2) სახელმწიფო ორგანოს მიერ ან მისი სახელით წარდგენილი პრეტენზიიდან ან **სარჩელიდან** ზარალისათვის, რომელიც გამოწვეულია ტესტირების, მონიტორინგის, გაწმენდის, მოშორების, შეგროვების, გადამუშავების, გაუვნებელყოფის ან ნეიტრალიზაციის ან ნებისმიერი გზით **პოლუტანტების** ზემოქმედებაზე რეაგირების მოხდენის ან მათი ზეგავლენის შეფასების გამო.

პ. შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ საქმიანობას

პირადი ზიანი, რომელიც მიადგა:

(1) პირს და გამომდინარეობს ნებისმიერი შემდეგი გარემოებით:
   (ა) ასეთი პირის დასაქმებაზე უარის თქმა;
   (ბ) ასეთ პირთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა; ან
   (გ) შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმიანობა, პოლიტიკა, ქმედებები და შეცდომები, როგორებიცაა უმოქმედობა, იძულება, დაქვეითება, შეფასება, დანიშნულების/უფლება-მოვალეობების შეცვლა, დისციპლინა, ცილისწამება, შეურაცხყოფა, დამცირება ან დისკრიმინაცია მიმართული ასეთი პირების მიმართ; ან

(2) იმ პირის მეუღლეს, შვილს, მშობელს, ძმას ან დას იმ პირის **პირადი ზიანის** შედეგად, რომლისკენაც მიმართულია ზემოხსენებული პუნქტის ა, ბ ან გ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული ქმედებები.

წინამდებარე გამონაკლისი ვრცელდება:
(1) შემთხვევებზე, როდესაც **დაზღვეულის** პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს როგორც დამსაქმებლის ისე ნებისმიერი სხვა სახით; და
(2) ნებისმიერ პასუხისმგებლობაზე ნებისმიერ სხვა პირთან ერთად ზარალის გაზიარებასთან დაკავშირებით ან იმ პირისათვის/პირის ნაცვლად ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ვინც პასუხისმგებელია ზიანის გამო ასეთ ანაზღაურებაზე.

დაფარვა "გ" - სამედიცინო ხარჯები

1. სადაზღვევო შეთანხმება

ა. **ჩვენ,** ქვემოთ მითითებული პირობებით, ავანაზღაურებთ სამედიცინო ხარჯებს **სხეულის ზიანისათვის,** რომელიც გამოწვეული იქნა უბედური შემთხვევით:

(1) იმ უძრავი ქონების ტერიტორიაზე, რომელიც **თქვენს** საკუთრებაშია ან რომელსაც ქირაობთ;
(2) **თქვენს** საკუთრებაში ან ქირავნობაში არსებული უძრავი ქონების მომიჯნავე გზებზე; ან
(3) **თქვენს** მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი სამუშაოების გამო;

იმ პირობით, რომ:

(1) უბედურ შემთხვევას ადგილი აქვს **დაფარვის ტერიტორიაზე** და შეტყობინებულია **დაზღვევის პერიოდის** განმავლობაში;
(2) ხარჯები გაღებულია **30** (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში უბედური შემთხვევის თარიღიდან და შეთანხმებულია **ჩვენთან** დაუყოვნებლივ შემთხვევის ხდომილების შემდეგ
და
(3) დაშავებული/დაზარალებული პირი გადის სამედიცინო შემოწმებას, **ჩვენი** ხარჯებით, **ჩვენს** მიერ შერჩეულ ექიმებთან/სამედიცინო დაწესებულებაში, **ჩვენს** მიერ, გონივრულობის ფარგლებში, მოთხოვნილი სიხშირით.

ბ. **ჩვენ** გავიღებთ სამედიცინო ხარჯებს ბრალის მიუხედავად. აღნიშნული გადახდები არ გადააჭარბებს დაზღვევის **შესაბამის ლიმიტს. ჩვენ** გადავიხდით გონივრულ ხარჯებს:

(1) შემთხვევის დროს გაწეული პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის;
(2) აუცილებელი სამედიცინო, ქირურგიული, რენტგენოლოგიური და სტომატოლოგიური მომსახურებისთვის, მათ შორის პროტეზებისთვის; და
(3) აუცილებელი ამბულატორიული, ჰოსპიტალური, პროფესიული საექთნო მომსახურებისა და დაკრძალვისათვის.

2. გამონაკლისები

ჩვენ არ ავანაზღაურებთ ხარჯებს **სხეულის ზიანისთვის,** რომელიც:

ა. მიადგა რომელიმე **დაზღვეულს;**

ბ. მიადგა პირს, რომელიც დაქირავებულია **დაზღვეულისთვის** ან მისი სახელით სამუშაოს შესასრულებლად ან **დაზღვეულის** მეიჯარეებს;

გ მიადგა პირს, რომელიც დაზიანდა **თქვენს** საკუთრებაში ან ქირავნობაში არსებული უძრავი ქონების იმ ნაწილზე, რომელიც აღნიშნულ პირს ჩვეულებრივ აქვს დაკავებული;

დ. მიადგა პირს, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს, თუ - არა იგი **დაზღვეულის დასაქმებულს**, თუკი **სხეულის ზიანისთვის** სარგებელი გადაიხდება ან უნდა იქნას გადახდილი უმუშევართა სოციალური დაცვის, შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის ან სხვა მსგავსი კანონმდებლობის საფუძველზე.

ე. მიადგა პირს, რომელიც დაზიანდა სპორტულ აქტივობებში მონაწილეობისას.

ვ. იფარება **პროდუქტებისა და დასრულებულ სამუშაოთა საფრთხის** დაზღვევის ფარგლებში.

ზ. წარმოადგენს გამონაკლისს **დაფარვა** "ა"-ს მიხედვით.

თ. გამოწვეულია ომის შედეგად, მიუხედავად იმისა გამოცხადებულია იგი თუ არა, ან ომის წინმსწრები/მაპროვოცირებელი ნებისმიერი ქმედების ან პირობის შედეგად. ამ დაზღვევის მიზნებისათვის ომი მოიცავს სამოქალაქო ომს, ამბოხს, ბუნტს, შეჭრას, მტრულ ქმედებას, სამოქალაქო მღელვარებას, ტერორიზმს, სამხედრო ან უზურპირებული ძალის მოქმედებას, აჯანყებას ან რევოლუციას.

ი. *რომლებიც გაღებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ/ სამედიცინო მკურნალობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ.*

დამატებითი გადახდები – დაფარვებისათვის "ა" და "ბ"

1. ნებისმიერ იმ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელსაც **ჩვენ** ვიკვლევთ ან ვარეგულირებთ ან იმ **დაზღვეულის** მიმართ წარდგენილ ნებისმიერ **სარჩელთან** დაკავშირებით, რომელსაც **ჩვენს** ვიცავთ, **ჩვენ** ავანაზღაურებთ:

ა. **ჩვენი** მოთხოვნით **დაზღვეულის** მიერ გაწეულ ყველა გონივრულ ხარჯს პრეტენზიის ან **სარჩელის** გამოკვლევასა და დაცვაში **ჩვენთვის** დახმარების გაწევის მიზნით.

ბ. **სარჩელით** მოთხოვნილი და **დაზღვეულზე** დაკისრებული ყველა სასამართლო და არასასამართლო ხარჯს.

აღნიშნული გადახდები და ჩვენს მიერ გაღებული ყველა ხარჯი ამცირებს დაზღვევის ლიმიტებს.

II სექცია - ვინ არის დაზღვეული

1. თუ **თქვენ სერტიფიკატში** განსაზღვრული ხართ როგორც:

ა. ფიზიკური პირი, თქვენ და თქვენი მეუღლე წარმოადგენთ **დაზღვეულებს**, მაგრამ მხოლოდ ისეთი **საქმიანობის** განხორციელებასთან მიმართებით, რომლის ერთადერთ მესაკუთრესაც **თქვენ** წარმოადგენთ.

ბ. ამხანაგობა ან ერთობლივი საწარმო, **თქვენ** წარმოადგენთ **დაზღვეულს**. **თქვენი** წევრები, **თქვენი** პარტნიორები და მათი მეუღლეები ასევე წარმოადგენენ **დაზღვეულებს,** მაგრამ მხოლოდ **თქვენი საქმიანობის** განხორციელებასთან მიმართებაში.

გ. იურიდიული პირი, გარდა ამხანაგობისა ან ერთობლივად/სოლიდარულად მოქმედ საწარმოთა ჯგუფისა, **თქვენ** წარმოადგენთ **დაზღვეულს**. **თქვენი აღმასრულებელი ოფიცრები** და დირექტორები ასევე წარმოადგენენ **დაზღვეულებს**, მაგრამ მხოლოდ **თქვენი** ოფიცრის ან დირექტორის სახით თავისი მოვალეობის შესრულებასთან მიმართებაში. **თქვენი** მეწილეები ასევე წარმოადგენენ **დაზღვეულებს**, მაგრამ მხოლოდ **თქვენი საქმიანობის** განხორციელებასთან დაკავშირებით მეწილის სახით პასუხისმგებლობასთან მიმართებაში.

2. **დაზღვეულს** წარმოადგენს ასევე ყველა ქვემოთ მითითებული პირი:

ა. **თქვენი დასაქმებულები,** გარდა **თქვენი აღმასრულებელი ოფიცრებისა** (თუ **თქვენ** წარმოადგენთ ნებისმიერი ტიპის იურიდიულ პირს გარდა ამხანაგობისა ან ერთობლივად/სოლიდარულად მოქმედ საწარმოთა/საწარმოთა ჯგუფისა, მაგრამ მხოლოდ ქმედებებისთვის **თქვენს** მიერ მათი დასაქმების ფარგლებში ან **თქვენი საქმიანობის** წარმოებასთან დაკავშირებული საკუთარი მოვალეობების შესრულებისას. თუმცა, არცერთი ხსენებულ დასაქმებულთაგან არ წარმოადგენს **დაზღვეულს** შემდეგი გარემოებებისათვის:

(1) **სხეულის ზიანი** ან **პირადი** და **სარეკლამო საქმიანობასთან** დაკავშირებული **ზიანი**:

(ა) რომელიც მოგადგათ **თქვენ**, **თქვენს** პარტნიორს ან წევრებს (თუ **თქვენ** წარმოადგენთ ამხანაგობას ან ერთობლივად/სოლიდარულად მოქმედ საწარმოს/საწარმოთა ჯგუფს) ან **თქვენს** თანა-დასაქმებულს მისი დაქირავების პერიოდში, ან **თქვენი საქმიანობის** წარმოებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების პროცესში.

(ბ) რომელიც მიადგა ზემოთ აღნიშნული თანა-დასაქმებულის მეუღლეს, შვილს, მშობელს, ძმას ან დას ზემოთ აღნიშნული (1) (ა) პუნქტის შედეგად;

(გ) რომლისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სხვა პირთან ერთად ზარალის გაზიარებასთან დაკავშირებით ან იმ პირისათვის/პირის ნაცვლად ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ვინც პასუხისმგებელია ზემოაღნიშნული (1) (ა) ან (ბ) ქვე-პუნქტებით განსაზღვრული ზიანის გამო ასეთ ანაზღაურებაზე; ან

(დ) რომელიც გამოწვეულია მის მიერ პროფესიული სამედიცინო მომსახურების გაწევით ან ასეთის გაწევის შეუძლებლობით.

(2) **ქონების ზიანი**, რომელიც მიადგა ქონებას, რომელსაც **თქვენ**, **თქვენი დასაქმებული**, პარტნიორი ან წევრი (თუ თქვენ წარმოადგენთ ამხანაგობას ან ერთობლივად/სოლიდარულად მოქმედ საწარმოს/საწარმოთა ჯგუფს), ან ნებისმიერი წევრი

(ა) იყენებთ, დაკავებული გაქვთ ან იმყოფება **თქვენს/თქვენი** დასაქმებულის/პარტნიორის ან წევრის საკუთრებაში;

(ბ) დაქირავებული გაქვთ, იმყოფება მართვის, მეურვეობა-მზრუნველობის ან კონტროლის ქვეშ ან რომელზეც ხორციელდება ფიზიკური კონტროლი ნებისმიერი მიზეზით.

ბ. ნებისმიერი ფიზიკური (გარდა **თქვენი დასაქმებულისა**) ან იურიდიული პირი **თქვენი** უძრავი ქონების მენეჯერის/მმართველის სახით მოქმედებისას.

გ. ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს **თქვენი** ქონების სათანადო დროებითი მეურვეობის უფლებით **თქვენი** გარდაცვალების შემთხვევაში, მაგრამ მხოლოდ

(1) ასეთი ქონების მოვლით ან მისით სარგებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში; და
(2) **თქვენი** კანონიერი სამართალმემკვიდრის დანიშვნამდე.

დ. **თქვენი** კანონიერი სამართალმემკვიდრე **თქვენი** გარდაცვალების შემთხვევაში, მაგრამ მხოლოდ **თქვენს** შესაბამის ვალდებულებებთან მიმართებაში;

3. **მობილურ მოწყობილობასთან** მიმართებაში, რომელიც რეგისტრირებულია **თქვენს** სახელზე ავტომანქანის რეგისტრაციის შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, ნებისმიერი პირი **თქვენი** ნებართვით ასეთი ავტომანქანის საჯარო გზებზე მართვისას, წარმოადგენს **დაზღვეულს**. ნებისმიერი სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია ასეთი პირის ქმედებებზე, ასევე წარმოადგენს **დაზღვეულს**, მაგრამ მხოლოდ მოწყობილობის მართვასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, *თუ არანაირი სხვა დაზღვევა არ მოქმედებს ასეთი* ფიზიკური ან იურიდიული *პირის* აღნიშნული პასუხისმგებლობისათვის. თუმცა, არც ერთი ფიზიკური ან იურიდიული პირი არ განიხილება **დაზღვეულად** შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

ა. **სხეულის ზიანი**, რომელიც მიადგა იმ პირის თანა-დასაქმებულს, რომელიც მართავდა მოწყობილობას;

ბ. **ქონების ზიანი**, რომელიც მიადგა ქონებას, რომელიც იმყოფება **თქვენს** საკუთრებაში, ან თქვენი ზედამხედველობის ქვეშ, ან დაქირავებულია ან დაკავებულია **თქვენს** მიერ, ან ნებისმიერი იმ პირის დამსაქმებლის მიერ, რომელიც წარმოადგენს **დაზღვეულს** წინამდებარე პუნქტით.

ამ პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის მიზნებისათვის არცერთი პირი არ წარმოადგენს **დაზღვეულს** მოქმედი ან ყოფილი ამხანაგობის და ან ერთობლივად/სოლიდარულად მოქმედ საწარმოთა ჯგუფისა წევრობასთან მიმართებაში. ასევე, არცერთი იურიდიული პირი არ წარმოადგენს **დაზღვეულს,** თუ ის არ არის მითითებული **სერტიფიკატში** **დამზღვევის** სახით.

III სექცია - დაზღვევის ლიმიტები

1. **ლიმიტი თითოეული შემთხვევისთვის**
   სერტიფიკატში მითითებული **ლიმიტი** **თითოეული** **შემთხვევისათვის** არის ის მაქსიმუმი, რასაც **ჩვენ** ავანაზღაურებთ ჯამურად ნებისმიერი დაფარვის სექციით (ა, ბ, გ) გათვალისწინებული ზარალებისთვის, რომლებიც გამომდინარეობენ თითოეული **შემთხვევის** შედეგად დამდგარი **სხეულისა** და **ქონების** ზიანიდან.

2. **წლიური აგრეგირებული ლიმიტი**
   წლიური **აგრეგირებული** **ლიმიტი,** როგორც ეს მითითებულია **სერტიფიკატში** არის ის მაქსიმუმი, რასაც **ჩვენ** ავანაზღაურებთ ნებისმიერი დაფარვის სექციისთვის (ა, ბ, გ), მიუხედავად
   ა. დაზღვეულთა რაოდენობისა;
   ბ. წარდგენილი პრეტენზიების თუ **სარჩელების** რაოდენობისა; ან
   გ. პრეტენზიების ან **სარჩელების** წარმდგენ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა რაოდენობისა. აღნიშნული მოიცავს **სერტიფიკატში** მითითებულ ნებისმიერ ქვე-ლიმიტსაც.

3. დაფარვა ა - სთვის **თითოეული** **შემთხვევისათვის** **ლიმიტისა** და **წლიური** **აგრეგირებული** **ლიმიტის** **გათვალისწინებით,** **აგრეგირებული** **ქველიმიტი** **სხეულისა** **და** **ქონების** **ზიანისათვის** არის ის მაქსიმუმი, რასაც **ჩვენ** ავანაზღაურებთ ჯამურად ა დაფარვით გათვალისწინებული ზარალებისათვის, *გარდა* ზარალებისა, რომლებიც გამოწვეულია **პროდუქტებისა** **და** **დასრულებულ** **სამუშაოთა** **საფრთხის** **დაზღვევით** მოცული **სხეულის** **ან** **ქონების** **ზიანით;** და

4. დაფარვა ა - სთვის **თითოეული** **შემთხვევისათვის** **ლიმიტისა** და **წლიური** **აგრეგირებული** **ლიმიტის** **გათვალისწინებით,** **აგრეგირებული** **ქველიმიტი** **პროდუქტებისა** **და** **დასრულებულ** **სამუშაოთა** **საფრთხის** **დაზღვევის** **ლიმიტისათვის** არის ის მაქსიმუმი, რასაც **ჩვენ** ავანაზღაურებთ ა დაფარვით გათვალისწინებული ზარალებისათვის, რომლებიც გამოწვეულია **პროდუქტებისა** **და** **დასრულებულ** **სამუშაოთა** **საფრთხის** **დაზღვევით** მოცული **სხეულის** **ან** **ქონების** **ზიანით;**

IV სექცია - ყოველმხრივი ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

1. **გადახდისუუნარობა**

დაზღვეულის გაკოტრება ან გადახდისუუნარობა არ გვათავისუფლებს **ჩვენ** წინამდებარე დაზღვევით გათვალისწინებული მოვალეობებისაგან.

2. **თქვენი ვალდებულებები შემთხვევის, გადაცდომის, პრეტენზიის ან სარჩელის შემთხვევაში**

ა. **თქვენ** უნდა უზრუნველყოთ, რომ რაც შეიძლება დროულად, მაგრამ არაუგვიანეს **10** (ათი) სამუშაო დღისა, მას შემდეგ რაც შეიტყობთ იმ **შემთხვევის** ან **გადაცდომის** შესახებ, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს პრეტენზიაში, შეგვატყობინოთ აღნიშნულის შესახებ. შეტყობინება, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

(1) როგორ, როდის და სად ჰქონდა ადგილი **შემთხვევას** თუ **გადაცდომას;**

(2) დაზარალებულ პირთა და მოწმეთა სახელები და მისამართები; და

(3) ზიანის ან ზარალის გამომწვევი **შემთხვევის** ან **გადაცდომის** სახე, ხდომილების ადგილი და გარემოებები.

შემთხვევის ან **გადაცდომის** შესახებ შეტყობინება არ წარმოადგენს პრეტენზიის შესახებ შეტყობინებას.

ბ. თუ პრეტენზია მიღებულია ნებისმიერი **დაზღვეულის** მიერ, **თქვენ** ვალდებული ხართ:

(1) დაუყოვნებლივ ჩაიწეროთ პრეტენზიის დეტალები და პრეტენზიის მიღების თარიღი; და

(2) შეგვატყობინოთ შეძლებისდაგვარად ოპერატიულად, მაგრამ არაუგვიანეს **5** (ხუთი) სამუშაო დღისა იმ მომენტიდან, რაც თქვენ შეიტყობთ ასეთი პრეტენზიის შესახებ;

თქვენ უნდა უზრუნველყოთ **ჩვენს** მიერ პრეტენზიის შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღება **5** (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში ზემოაღნიშნული ზეპირი შეტყობინების მომენტიდან.

გ. **თქვენ** და ნებიმსმიერი შესაბამისი **დაზღვეული** ვალდებული ხართ:

(1) დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნოთ მოთხოვნების, შეტყობინებების, უწყებების ან სხვა იურიდიული დოკუმენტების ასლები, რომლებიც მიღებულია პრეტენზიასთან ან **სარჩელთან** დაკავშირებით;

(2) მოგვანიჭოთ უფლებამოსილება მოვიპოვოთ ჩანაწერები და სხვა ინფორმაცია;

(3) ითანამშრომლოთ **ჩვენთან** პრეტენზიის გამოკვლევასა და დარეგულირებაში ან

სარჩელის დაცვაში; და

(4) **ჩვენი** მოთხოვნისამებრ, გაგვიწიოთ დახმარება **ჩვენი** უფლებების განხორციელებაში იმ მესამე ფიზიკური ან იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც შეიძლება პასუხისმგებელნი იყვნენ **დაზღვეულის** წინაშე ისეთი ზიანის ან ზარალისათვის, რომელზეც შეიძლება წინამდებარე დაზღვევაც ვრცელდებოდეს.

დ. არცერთი **დაზღვეული** არ არის უფლებამოსილი ნებაყოფლობით განახორციელოს გადახდა, საკუთარ თავზე აიღოს ვალდებულება ან გაიღოს რამე ხარჯი **ჩვენი** წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა პირველადი დახმარებისა. **ჩვენი** თანხმობის გარეშე გაცემული ნებისმიერი გადახდა, დაპირება, ან აღებული ვალდებულება არ დაექვემდებარება ანაზღაურებას წინამდებარე დაზღვევით.

3. ანაზღურების საფუძველი, დაცვის უფლება

ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია მოითხოვოს **ჩვენგან** ანაზღაურება ზარალის შეთანხმებული დარეგულირების ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. თუმცა **ჩვენ** არ ვიქნებით პასუხისმგებელნი იმ ზარალზე, რომელიც წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად არ ექვემდებარება ანაზღაურებას ან აღემატება შესაბამის **დაზღვევის ლიმიტს.** შეთანხმებული დარეგულირება გულისხმობს დარეგულირებისა და შემდგომი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების აქტს, რომელიც ხელმოწერილია **დაზღვეულის**, მოსარჩელის ან მისი კანონიერი წარმომადგენლისა და **ჩვენს** მიერ.

თქვენს წინააღმდეგ არსებული ან პოტენციური/მოსალოდნელი ნებისმიერი სახის პრეტენზიის/**სარჩელის**/მოთხოვნის შემთხვევაში, **თქვენ** ვალდებული ხართ, **თქვენი** ინტერესების დაცვის ნებისმიერი ღონისძიება წინასწარ შეათანხმოთ **ჩვენთან** და **თქვენი** ინტერესების/უფლებების დაცვა (როგორც სასამართლოში/არბიტრაჟში/დავის განმხილველ ნებისმიერ ორგანოში, ისე მის/მათ გარეთ) აწარმოოთ მხოლოდ **ჩვენს** მიერ განსაზღვრული დაცვის ტაქტიკის მიხედვით, რაც გულისხმობს არამარტო დაცვის განხორციელების კონკრეტულ ღონისძიებებსა და სტრატეგიას, ასევე, დაცვის განმახორციელებელ პირებს/ადვოკატებს/წარმომადგენლებს. ამასთან, თქვენ ვალდებული ხართ არცერთ შემთხვევაში არ აღიაროთ არცერთი სხვა პირის მოთხოვნა/პრეტენზია თუ სარჩელი, არც ზეპირად, არც წერილობით და არც სხვა ნებისმიერი პირდაპირი, არაპირდაპირი თუ კონკლუდენტური ფორმით, ასევე, არ დაუშვათ **თქვენს** საზიანოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება ან სხვა რაიმე სახის უმოქმედობა. **თქვენ** ასევე ვალდებული ხართ, ნებისმიერი გონივრული საშუალებითა და ფორმით შეგვიწყოთ ხელი ზემოხსენებული დაცვის **ჩვენს** მიერ ჯეროვან წარმართვაში. ჩამოთვლილთაგან ერთი ან რომელიმე ვალდებულების **თქვენი** მხრიდან დარღვევა/შეუსრულებლობა, გვანიჭებს უპირობო უფლებას, უარი ვთქვათ ამ **პოლისის** მიხედვით ანაზღაურების გაცემაზე.

4. სხვა დაზღვევა

თუკი ნებისმიერი ისეთი **შემთხვევის** ხდომილების მომენტისათვის, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს წინამდებარე **პოლისით** გათვალისწინებული

პასუხისმგებლობის დადგომა, არსებობს ნებისმიერ სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც ფარავს იმავე პასუხისმგებლობას (მიუხედავად იმისა, შეძენილია თუ - არა აღნიშნული დაზღვევა **თქვენს** მიერ), **ჩვენ** ავანაზღაურებთ მხოლოდ პრეტენზიის იმ ნაწილს, რომელიც შეესაბამება დაფარვის მთელს მოცულობაში **ჩვენს** შესაბამის წილს, მიუხედავად **დაზღვეულის** მიერ სხვა მზღვეველებისაგან ანაზღაურების ფაქტობრივად მიღების პერსპექტივებისა. აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვაქვს ამავე პასუხისმგებლობის სხვა სავალდებულო დაზღვევა, რა დროსაც, ანაზღაურება პირველ რიგში უნდა განხორციელდეს სავალდებულო დაზღვევის მიერ და მხოლოდ ასეთი სავალდებულო დაზღვევით დაუფარავ ნაწილთან მიმართებაში იქნება მოქმედი ამ **პოლისით** გათვალისწინებული დაზღვევა.

5. განცხადებები

წინამდებარე **პოლისის** მიღებით, **თქვენ** თანხმობას აცხადებთ, რომ:

ა. **სერტიფიკატში** მითითებული მონაცემები სწორია და სრული;
ბ. აღნიშნული მონაცემები დაფუძნებულია **თქვენს** მიერ განაცხადში წარმოდგენილ განცხადებებზე;
და
გ. **ჩვენ** გავეცით წინამდებარე **პოლისი თქვენს** განცხადებებზე დაყრდნობით.

6. რეგრესის უფლების გადმოცემა

თუკი **დაზღვეულს** აქვს მესამე პირთაგან **ჩვენს** მიერ წინამდებარე დაზღვევის საფუძველზე ანაზღაურებული თანხების მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღების უფლება, ასეთი უფლებები გადმოგვეცემა **ჩვენ**. **დაზღვეული** ვალდებულია არ იმოქმედოს ასეთი უფლების საზიანოდ/შესამცირებლად. **ჩვენი** მოთხოვნით, **დაზღვეული** შეიტანს **სარჩელს** ან გადმოგვცემს აღნიშნულ უფლებებს **ჩვენ** და დაგვეხმარება მათ რეალიზაციაში.

7. ხელშეკრულების დებულებათა დამოუკიდებლობა

წინამდებარე **პოლისის** რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა კომპეტენტური სასამართლოს მიერ არ იწვევს **პოლისის** დანარჩენი ნაწილის ბათილობას.

8. დაზღვევის შეწყვეტა

(ა) **ჩვენ** უფლებამოსილნი ვართ შევწყვიტოთ წინამდებარე **პოლისის** მოქმედება შეწყვეტის თარიღამდე **30 დღით** ადრე **დამზღვევის** უკანასკნელად ცნობილ მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით. ასეთ შემთხვევაში **ჩვენ** დავაბრუნებთ შეწყვეტის დღისთვის **პოლისის** დარჩენილი **პერიოდისთვის პრემიის** პროპორციულ ოდენობას.

(ბ) თუ **ჩვენი** ინიციატივით **პოლისის** შეწყვეტა განპირობებულია **თქვენს** მიერ ამ **პოლისით** გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ვალდებულების შეუსრულებლობით, **თქვენ** წარმოგეშობათ **ჩვენთვის** სადაზღვევო პრემიის

გადახდის ვალდებულება **მოკლე პერიოდის გრაფიკის** მიხედვით დაზღვევის ძალაში ფაქტობრივად ყოფნის პერიოდის შესაბამისად.

(გ) წინამდებარე **პოლისის** მოქმედება შეიძლება შეწყდეს **თქვენი** ინიციატივით, შეწყვეტის თარიღამდე **30 დღით** ადრე **ჩვენთვის** წერილობითი შეტყობინების გამოგზავნის გზით. **ჩვენ** დავიტოვებთ პრემიას **მოკლე პერიოდის გრაფიკის** მიხედვით, იმ პირობით, თუ **პოლისის პერიოდის** განმავლობაში წინამდებარე **პოლისზე** არანაირი პრეტენზია არ ყოფილა შეტყობინებული. სხვა შემთხვევაში **პრემია ჩვენს** მიერ დაბრუნებას არ ექვემდებარება.

(დ) თუ **პოლისის** მოქმედება შეწყდა ნებისმიერი მიზეზით ან რომელიმე მხარის ინიციატივით და ამ **პოლისის** მოქმედების პერიოდის განმავლობაში **ჩვენს** მიერ ანაზღაურებულია/ადიარებულია/ასანაზღაურებელია ზარალი, ზემოთ მითითებული დებულებების მიუხედავად, **პრემია**, არც ერთ შემთხვევაში, დაბრუნებას არ ექვემდებარება და **პოლისით** გათვალისწინებული სადაზღვევო **პრემია თქვენს** მიერ სრულად უნდა იქნას გადახდილი.

9. ცვლილებები

თქვენსა და **ჩვენს** შორის მოცემულ დაზღვევასთან დაკავშირებული ყველა შეთანხმება მოცემულია წინამდებარე **პოლისში**. **პოლისის** პირობების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ორმხრივად ხელმოწერილი დანართის გაცემის მეშვეობით.

10. თქვენი ჩანაწერების და დოკუმენტების შემოწმება

ჩვენ გვაქვს უფლება ნებისმიერ დროს **პოლისის პერიოდისა** და მისი დასრულებიდან **3** (სამი) წლის განმავლობაში შევამოწმოთ **თქვენი** ჩანაწერები და დოკუმენტები, რომლებიც ეხება წინამდებარე **პოლისს**.

11. პრემია

წინამდებარე **პოლისით** სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წინაპირობაა, რომ პრემია/პრემიის პირველი შენატანი (პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში) გადახდილ იქნას მანამ, სანამ გამოვლენილ იქნება ქონების/სხეულის ზიანი/მოხდება გადაცდომა.

სადაზღვევო პრემიის დროულად, **სერტიფიკატით** დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, **ჩვენი** მხრიდან განისაზღვრება პრემიის გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადა. თუ ამ ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება **სადაზღვევო შემთხვევას** და გადახდა არ იქმნება განხორციელებული, **ჩვენ** ვთავისუფლდებით ანაზღაურების მოვალეობისგან ასეთ შემთხვევასთან დაკავშირებით. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობისას **ჩვენ** უფლებას ვიტოვებთ ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ცალმხრივად შევწყვიტოთ დაზღვევის **პოლისის** მოქმედება.

სერტიფიკატში მითითებული **დამზღვევი**:

ა. პასუხისმგებელია ყველა პრემიის გადახდაზე; და

ბ. წარმოადგენს **ჩვენს** მიერ დასაბრუნებელი პრემიის მიმღებს.

12. წინამდებარე პოლისით გათვალისწინებული თქვენი უფლება-მოვალეობების გადაცემა

დაუშვებელია **ჩვენი** წერილობითი თანხმობის გარეშე, წინამდებარე **პოლისით** გათვალისწინებული **თქვენი** უფლება-მოვალეობების გადაცემა მესამე პირისთვის, გარდა **დამზღვევის** (თუ ფიზიკური პირია) გარდაცვალების შემთხვევისა.

თქვენი გარდაცვალების შემთხვევაში, **თქვენი** უფლება-მოვალეობები გადაეცემა **თქვენს** კანონიერ სამართალმემკვიდრეს, მაგრამ მხოლოდ **თქვენი** კანონიერი სამართალმემკვიდრის სახით ვალდებულებების შესრულების ფარგლებში. ყველა პირს, რომელიც **თქვენი** კანონიერი სამართალმემკვიდრის დანიშვნამდე **თქვენს** ქონებაზე ახორციელებს სათანადო დროებით მეურვეობას/სამკვიდროს მართვას, ექნება ყველა **თქვენი** უფლება-მოვალეობა, მაგრამ მხოლოდ ამ კონკრეტულ ქონებასთან/სამკვიდროსთან მიმართებაში.

13. მარეგულირებელი სამართალი

წინამდებარე **პოლისის** ნებისმიერი ინტერპრეტაცია მის სტრუქტურასთან, ნამდვილობასთან ან მოქმედებასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს *საქართველოს კანონმდებლობის* შესაბამისად.

14. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის წინამდებარე **პოლისთან** ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ნებისმიერი დავა თუ პრეტენზია განსახილველად გადაეცემა შესაბამის *სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.*

15. პოლისის მფლობელთა ინტერესების დაცვა

პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, თუ ასეთი პრეტენზია მისაღებია წინამდებარე პოლისის შესაბამისად, **ჩვენ** შემოგთავაზებთ მის დარეგულირებას ან უარვყოფთ მას **30 დღის** განმავლობაში ყველა შესაბამისი დოკუმენტაციის და გამოკვლევა-გამოძიების ანგარიშის (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) მიღების მომენტიდან. თუ პრეტენზია აღიარებულ იქნა, ანაზღაურება გადახდილ უნდა იქნას **ჩვენს** მიერ მომზადებული ზარალის დარეგულირებისა და შემდგომი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების აქტის დაზარალებულისა და **თქვენს** მიერ ხელმოწერის შემდეგ.

16. კრედიტინფო

წინამდებარე **პოლისის** თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და **პოლისთან** დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე მხარეთა მიერ წერილობით

გათვალისწინებული შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, წინამდებარე **პოლისზე** ხელმოწერით **თქვენ** გვანიჭებთ უპირობო უფლებას, დამატებითი შეთანხმების გარეშე, **თქვენს** შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადავცეთ სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის №06/5-51, საიდენტ. №204470740), რაც გამოიწვევს **თქვენს** აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

17. სხვა პირობები

წინამდებარე **პოლისზე** ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ მათ სრულად ესმით **პოლისის** მნიშვნელობა და ის დადებულია გონივრული განსჯის შედეგად.

V სექცია – ტერმინთა განმარტებები

1. **ავტომობილი** ნიშნავს სახმელეთო ავტომანქანას, ტრეილერს ან ნახევრად-ტრეილერს, რომელიც შექმნილია საჯარო გზებზე მოძრაობისთვის, მათ შორის ნებისმიერ მიბმულ მანქანას ან მოწყობილობას; მაგრამ **ავტომობილი** არ მოიცავს **მობილურ მოწყობილობას**;

2. **ხანძარი** ნიშნავს ისეთ ცეცხლს, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს და სცდება მისთვის განკუთვნილ ადგილს.

3. **აღმასრულებელი ოფიცერი ნიშნავს** პირს, რომელსაც უკავია **თქვენი**, წესდებით ან სხვა ანალოგიური დოკუმენტით გათვალისწინებული მენეჯერული თანამდებობა;

4. **გადაცდომა** ნიშნავს სხვის უფლებათა დარღვევას/ხელყოფას, რაც იწვევს **პირად და სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებულ ზიანს,** როგორც ეს განმარტებულია **ბ** დაფარვაში.

5. **დამზღვევი – სერტიფიკატში დამზღვევის** სახით მითითებული ფიზიკური/იურიდიული პირი, რომელიც დებს **სადაზღვევო ხელშეკრულებას ჩვენთან** და იხდის სადაზღვევო პრემიას.

6. **დასაქმებული** – ნებისმიერი პირი, რომელიც როგორც წერილობითი, ისე ზეპირი შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, მუშაობს **თქვენთან**.

7. **დატვირთვა ან გადმოტვირთვა** ნიშნავს ქონების მართვას/გადაადგილებას:

   ა. მას შემდეგ, რაც ხდება მისი გადაადგილება იმ ადგილიდან, სადაც ის იქნა მიღებული საჰაერო ან საწყლოსნო ხომალდზე/ში ან **ავტომობილზე/ში** გადატანის მიზნით;

   ბ. როდესაც ის იმყოფება საჰაერო, საწყლოსნო ხომალდზე/ში ან **ავტომობილზე/ში**; ან

   გ. მისი გადაადგილებისას საჰაერო, საწყლოსნო ხომალდიდან ან **ავტომობილიდან** მისი საბოლოო დანიშნულების ადგილისაკენ;

მაგრამ დატვირთვა ან გადმოტვირთვა არ მოიცავს ქონების გადაადგილებას მექანიკური მოწყობილობის საშუალებით, გარდა ბარგის გადასაზიდი ხელის ურიკისა, რომელიც არაა მიბმული საჰაერო ან საწყლოსნო ხომლადს ან **ავტომობილს**.

8. **დაფარვის ტერიტორია** ნიშნავს ტერიტორიას, როგორც ეს მითითებულია **სერტიფიკატში,** რომელზეც მომხდარ **შემთხვევაზე/გადაცდომაზე/სამედიცინო ხარჯებზე** და ზარალისათვის წარდგენილ **სარჩელზე**/პრეტენზიაზე ვრცელდება ამ დაზღვევის დაფარვა.

9. **თქვენი პროდუქტი** ნიშნავს:
   ა. ნებისმიერ საქონელს ან პროდუქტს, გარდა უძრავი ქონებისა, რომელიც იწარმოება, იყიდება, ან რომლის მიწოდება-დისტრიბუცია ან განკარგვა ხორციელდება:

      (1) **თქვენს** მიერ;
      (2) იმ სხვა პირთა მიერ, რომლებიც **თქვენი** სახელით ეწევიან საქმიანობას, ან

   ბ. **კონტეინერს** (გარდა სატრანსპორტო საშუალებისა), მასალებს, ნაწილებს, მოწყობილობებს, რომლებიც მიწოდებულია ასეთ საქონელსა თუ პროდუქტებთან დაკავშირებით.

   თქვენი პროდუქტი არ მოიცავს სავაჭრო ავტომატებს ან სხვა ქონებას, რომელიც გაქირავებულია ან გამიზნულია სხვა პირთა მიერ გამოსაყენებლად, მაგრამ არ არის გაყიდული.

10. **თქვენი სამუშაო** ნიშნავს:

    ა. **თქვენს** მიერ ან **თქვენი სახელით** შესრულებული სამუშაოს; და

    ბ. ასეთ სამუშაოსთან დაკავშირებით მიწოდებულ მასალებს, ნაწილებს ან მოწყობილობებს.

11. **თქვენი საქმიანობა** ნიშნავს **სერტიფიკატში** აღწერილ საქმიანობას.

12. **მობილური მოწყობილობა** ნიშნავს სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების ნებისმიერ შემდეგ ტიპს, მათ შორის, მისაბმელ მანქანასა და მოწყობილობას:

    ა. ბულდოზერს, სასოფლო-სამეურნეო დანადგარებს, კბილანებიან დამტვირთველს და სხვა მანქანებს რომლებიც შექმნილია უპირატესად საჯარო გზების გარეთ მუშაობის მიზნით;

    ბ. მანქანები, რომლებიც გამიზნულია მხოლოდ თქვენ საკუთრებაში არსებულ ან იჯარით აღებულ უძრავ ქონებაზე ან მის მიმდებარედ გამოსაყენებლად და რომლებსაც არ გააჩნიათ სარეგისტრაციო მონაცემები საჯარო გზებზე სამუშაოდ;

    გ. მანქანები, რომლებიც გადაადგილდებიან მუხლუხა ბორბლებით;

დ. თვითმავალი ან არათვითმავალი მანქანები, რომლებიც გამოიყენება მუდმივად დამონტაჟებული შემდეგი ტექნიკის სამოძრაოდ/გადასატანად:

(1) ამწეები, ნიჩბები, დამთვირთველები, ამომთხრელები ან საბურღი მანქანები; ან

(2) გზების მშენებლობის ან მოასფალტების მოწყობილობები როგორებიცაა გრეიდერი, სკრაპერი ან სატკეპნი;

ე. მანქანები, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ზემოთ აღნიშნულ ა, ბ, გ ან დ ქვეპუნქტებში და არ არიან თვითმავალები და გამოიყენებიან შემდეგი ტიპის მუდმივად მიმაგრებული დანადგარების გადასაადგილებლად:

(1) საჰაერო კომპრესორები, ტუმბოები და გენერატორები, მათ შორის შესასხამი, შესადუღებელი, შენობის გამწმენდი, გეოფიზიკურად გამოსაკვლევი, გასანათებელი და ჭის მომსახურე აღჭურვილობა; ან

(2) ავტოჰიდროამწეები ან მსგავსი დანადგარები, რომლებიც გამოიყენება მუშების ასაყვანად და ჩამოსაყვანად.

თუმცა, თვითმავალი მანქანები, ქვემოთ ჩამოთვლილი ტიპის მუდმივად მიმაგრებული მოწყობილობით, არ წარმოადგენენ მობილურ მოწყობილობებს და განიხილებიან **ავტომობილებად:**

(1) მოწყობილობები რომლებიც შექმნილია:

(ა) თოვლის მოშორებისთვის;
(ბ) გზების მომსახურებისთვის, მაგრამ არა გზების მშენებლობის ან მოასფალტებისთვის; ან
(გ) ქუჩების დასუფთავებისთვის;

(2) ავტოჰიდროამწეები ან მსგავსი დანადგარები, რომლებიც დამონტაჟებულია **ავტომობილის** ან სატვირთო მანქანის სავალ ნაწილზე და გამოიყენება მუშების ასაყვანად და ჩამოსაყვანად; და

(3) საჰაერო კომპრესორები, ტუმბოები და გენერატორები, მათ შორის შესასხამი, შესადუღებელი, შენობის გამწმენდი, გეოფიზიკურად გამოსაკვლევი, გასანათებელი და ჭის მომსახურე აღჭურვილობა.

*წინამდებარე დაზღვევა ვრცელდება **ქონების / სხეულის ზიანზე მობილური მოწყობილობებით** განხორციელებული სამუშაოების შედეგად <u>მხოლოდ</u> იმ შემთხვევაში, თუ ასეთი **მობილური მოწყობილობები** მითითებულია **სერტიფიკატში.***

13. **მოკლე პერიოდის გრაფიკი**

პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პოლისი ფაქტობრივად ძალაში იყო	შესაბამისი პერიოდისათვის გადასახდელი წლიური ჯამური პრემიის %
3 თვეზე ნაკლები	40%

3-6 თვე	65%
6-9 თვე	90%
9-12 თვე	100%

14. **პირადი და სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებული ზიანი** ნიშნავს ზიანს, მათ შორის, თანმდევ **სხეულის ზიანს**, რომელიც გამოწვეულია ერთი ან მეტი შემდეგი **გადაცდომით**:
    ა. თავისუფლების უკანონო შეზღუდვა (დაკავება)

    ბ. უკანონო სამართალწარმოების (გასამართლების) ინიცირება;

    გ. პირის მიერ დაკავებული ოთახიდან, სადგომიდან ან უძრავი ქონებიდან უკანონო გამოსახლება, უკანონო შესვლა ან აღნიშნული ქონებით სარგებლობის უფლების ხელყოფა, ჩადენილი ასეთი ოთახის, სადგომის, უძრავი ქონების მესაკუთრის, მეიჯარის/გამქირავებლის მიერ ან მისი დავალების საფუძველზე;

    დ. მასალების ჩანაწერების ზეპირი ან წერილობითი გამოქვეყნება, რაც ცილს სწამებს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ლახავს ფიზიკური ან იურიდიული პირის საქონლის, პროდუქტის ან მომსახურების რეპუტაციას;

    ე. მასალების ჩანაწერების ზეპირი ან წერილობითი გამოქვეყნება, რაც არღვევს პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას;

    ვ. **თქვენს** რეკლამაში სხვისი სარეკლამო იდეების გამოყენება;

    ზ. **თქვენს** რეკლამაში სხვისი საავტორო უფლების, სავაჭრო ნიშნის ან სლოგანის ხელყოფა.

15. **პოლისი (სადაზღვევო ხელშეკრულება)** – წინამდებარე პირობების, სერტიფიკატისა და ყოველმხრივი ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევის განაცხადის ერთობლიობა.

16. **პოლისის პერიოდი** ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება **სერტიფიკატში** მითითებულ დროს და წყდება **სერტიფიკატში** მითითებული ვადის გასვლის თარიღის 24 საათზე.

17. **პოლუტანტები** ნიშნავს ნებისმიერ მყარ, თხევად, აეროვან ან თერმულ გამაღიზიანებელს ან დამაბინძურებელ ნივთიერებას, მათ შორის კვამლს, ორთქლს, მურს, ბოლს, მჟავას, ტუტეს, ქიმიურ ნივთიერებებსა და ნარჩენებს. ნარჩენები მოიცავს გადასამუშავებელ და აღსადგენ მასალებს.

18. **პროდუქტებისა და დასრულებულ სამუშაოთა საფრთხე**

    ა. მოიცავს **სხეულის** და **ქონების ყველა ზიანს**, რომელსაც ადგილი აქვს იმ უძრავი ქონების გარეთ, რომელიც იმყოფება **თქვენს** საკუთრებაში ან რომელსაც ქირაობთ და გამოწვეულია **თქვენი პროდუქტით** ან **თქვენი სამუშაოთი**, გარდა:

        (1) იმ პროდუქტებისა, რომლებიც ფიზიკურად კვლავ **თქვენს** მფლობელობაში

იმყოფებიან, ან

(2) სამუშაოსი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა ან რომლისთვისაც თავი არ მიუნებებიათ/მიუტოვებიათ. თუმცა, **თქვენი სამუშაო** ჩითვლება დასრულებულად ერთ-ერთი შემდეგი გარემოების დადგომისას, რომელიც დადგება უფრო ადრე:

(ა) როდესაც **თქვენი** კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა სამუშაო შესრულდა

(ბ) როდესაც სამუშაო საიტზე შესასრულებელი ყველა სამუშაო შესრულდა, თუ თქვენი კონტრაქტი ითხოვს მუშაობას ერთზე მეტ სამუშაო საიტზე;

(გ) როდესაც სამუშაო საიტზე შესრულებული სამუშაოების ნაწილის დანიშნულებისამებრ გამოყენება დაიწყო ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, გარდა იმავე პროექტზე მომუშავე სხვა კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორისა.

სამუშაო, რომელიც შეიძლება საჭიროებდეს მომსახურებას, მოვლა-შენარჩუნებას, შესწორებას, შეკეთებას ან შეცვლას, მაგრამ სხვაგვარად დასრულებულია, ჩაითვლება დასრულებულად.

ბ. არ მოიცავს **სხეულის** ან **ქონების ზიანს**, რომელიც გამოწვეულია:

(1) ქონების ტრანსპორტირებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ზიანი გამოწვეულია იმ სატრანსპორტო საშუალებაზე მომხდარი გარემოებით, რომელიც არ გეკუთვნით **თქვენ** ან არ იმართება **თქვენს** მიერ და აღნიშნული გარემოება წარმოიქმნა ნებისმიერი **დაზღვეულის** მიერ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების **დატვირთვის** ან **გადმოტვირთვის** დროს.

(2) სამუშაო იარაღების, დაუინსტალირებელი მოწყობილობების ან მიტოვებული ან გამოუყენებლი მასალების არსებობით.

19. **რეკლამა** ნიშნავს განცხადებას, რომელიც გადაიცემა მაუწყებლობით ან გამოქვეყნებულია საზოგადოებისთვის ან სპეციფიური ბაზრის სეგმენტისთვის **თქვენი** საქონლის, პროდუქციის ან მომსახურების შესახებ მომხმარებელთა ან მხარდამჭერთა მოზიდვის მიზნით.

20. **რეტროაქტიური თარიღი**

თარიღი, რომლის შემდეგაც

ა. **მომხდარ შემთხვევას;**

ბ. დასრულებულ სამუშაოებს და მიწოდებულ/გაყიდულ პროდუქტებს **(პროდუქტებისა და დასრულებულ სამუშაოთა საფრთხის დაზღვევის** მიზნებისთვის)

შეუძლიათ გამოიწვიონ მზღვეველის პასუხისმგებლობა წინამდებარე დაზღვევით გათვალისწინებული **სხეულისა და ქონების ზიანისათვის.**

21. **სარჩელი** ნიშნავს სამოქალაქო საქმისწარმოებას, რომელიც წარმოებს **სხეულის** ან

ქონების ზიანით, ან **პირადი** და **სარეკლამო საქმიანობიასთან დაკავშირებული ზიანით** სავარაუდოდ გამოწვეულ იმ **ზარალებთან** დაკავშირებით, რომელიც დაფარულია წინამდებარე დაზღვევით. **სარჩელი** ასევე მოიცავს დავის მოგვარების ნებისმიერი ალტერნატიული საშუალებით წარმოებულ პროცესს, რომელშიც ასეთი **ზარალის** ანაზღაურება მოითხოვება და რომელშიც **დაზღვეული** ერთვება **ჩვენი** თანხმობით.

22. **სერტიფიკატი - ჩვენს** მიერ **თქვენი პოლისის** ფარგლებში გაცემული დაზღვევის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. იგი ადგენს **თქვენი პოლისის** დაფარვის დეტალებს, მათ შორის, ძალაში მყოფ **პასუხისმგებლობის ლიმიტებს** და ~~**დაზღვევის**~~ **პოლისის პერიოდს** შესაბამისი დაფარვებისათვის.

23. **სხეულის ზიანი** ნიშნავს სხეულის დაზიანებას, რომელსაც განიცდის ადამიანი და მოიცავს აღნიშნული გარემოების გამო ნებისმიერ დროს გარდაცვალებას.

24. **ტერორიზმი** – ამ დაზღვევის მიზნებისათვის ნიშნავს ქმედებას, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ქმედებით იძულების ან ძალადობის გამოყენებით და/ან ამ უკანასკნელთა გამოყენების მუქარით ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ, რომელიც მოქმედებს როგორც დამოუკიდებლად, ისე ამა თუ იმ ორგანიზაცი(ებ)ის ან ხელისუფლებ(ებ)ის სახელით ან მათთან კავშირში, და ჩადენილია პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური თუ სხვა მსგავსი მიზეზით, მათ შორის, ამა თუ იმ ხელისუფლებაზე ზემოქმედების მიზნით და/ან საზოგადოების ან მისი რომელიმე ნაწილის დაშინების მიზნით.

    წინამდებარე **პოლისი** ასევე გამორიცხავს ნებისმიერი სახის დანაკარგს, ზარალს, ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია, გამომდინარეობს ან დაკავშირებულია ქმედებასთან, რომელიც ხორციელდება **ტერორიზმის** კონტროლირების, თავიდან აცილების ან ჩახშობის მიზნით ან რაიმე სახით დაკავშირებულია ნებისმიერ **ტერორისტულ** აქტთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებასთან.

25. **ქონების ზიანი** ნიშნავს:

    ა. მატერიალური ქონების ფიზიკურ დაზიანებას, მათ შორის, ისეთ დაზიანებას, რომელიც იწვევს ასეთი ქონების ფუნქციის დაკარგვას. იგულისხმება, რომ ფუნქციის დაკარგვა უნდა მოხდეს ფუნქციის დაკარგვის გამომწვევი ფიზიკური დაზიანების დროს; ან

    ბ. ისეთი მატერიალური ქონების ფუნქციის დაკარგვას, რომელიც ფიზიკურად არაა დაზიანებული. იგულისხმება, რომ ფუნქციის დაკარგვა უნდა მოხდეს იმ **შემთხვევის** დროს, რომელმაც იგი გამოიწვია.

26. **შემთხვევა** ნიშნავს შემთხვევას/ხდომილებას, მათ შორის, განგრძობით ან განმეორებით ძირითადად ერთიდაიმავე მავნე პირობების ზემოქმედების ქვეშ მოქცევას. პროდუქტებისა და დასრულებულ სამუშაოთა საფრთხის დაზღვევის შემთხვევაში იმისათვის, რათა შემთხვევა განიხილებოდეს ვალიდურად წინამდებარე დაზღვევისთვის, სამუშაოები უნდა იყოს დასრულებული **რეტროაქტიული თარიღის** შემდეგ.

27. **ხარისხობრივად გაუარესებული ქონება** ნიშნავს მატერიალურ ქონებას, გარდა **თქვენი პროდუქტისა** ან **თქვენი სამუშაოსი**, რომლის გამოყენებაც შეუძლებელია ან ნაკლებად ვარგისია, რადგან:

ა. ის მოიცავს **თქვენს პროდუქტს** ან **თქვენს სამუშაოს,** რომელიც არის ან სავარაუდოა იყოს დეფექტური, ნაკლული, არაადექვატური ან სახიფათო; ან

ბ. **თქვენ** ვერ შეასრულეთ კონტრაქტის ან შეთანხმების პირობები.

დანართი №1

წინამდებარე დანართს ცვლილებები შეაქვს პოლისში, გთხოვთ წაიკითხოთ ყურადღებით

წინამდებარე დანართი ძალაში შედის 2017 წლის 25 ნოემბრის 00:00 სთ-ზე და

წარმოადგენს პოლისის No CGL/C-000362/17 შემადგენელ ნაწილს

პროფესიული პასუხისმგებლობის გამონაკლისი

წინამდებარეთი შეთანხმებულია, რომ ეს პოლისი არ ფარავს არანაირ პასუხისმგებლობას, რომელიც დაზღვეულს წარმოექმნება მისი ან მისი სახელით მოქმედი ნებისმიერი სხვა პირის მიერ სერტიფიკატში აღნიშნული დამზღვევის საქმიანობასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას დაშვებული/ჩადენილი ან სავარაუდოდ დაშვებული/ჩადენილი პროფესიული ხასიათის შეცდომით, გაუფრთხილებლობით, დაუდევრობით/კანონსაწინააღმდეგო ქმედებით.

ამ დანართის არცერთი დებულება არ ცვლის პოლისით განსაზღვრულ სხვა ნებისმიერ ტერმინს, ლიმიტს ან პირობას, გარდა ზემოჩამოყალიბებულისა.

On behalf of the Insurer / მზღვეველის სახელით:
სს "სადაზღვეო კომპანია ალდაგი"

გ.ბარათაშვილი ----------
გენერალური დირექტორი

თარიღი: 24/11/2017

On behalf of the Named Insured / დამზღვევის სახელით:
სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

თარიღი:

QUESTIONNAIRE-PROPOSAL
of civil liability insurance
სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის განაცხადი

Please be very attentive while filling this Questionnaire-proposal form. Correct and full filling of the form will save your time when concluding the insurance agreement and will give the insurance company experts an opportunity to prepare for you the most appropriate insurance program.
Please make sure that all important information is indicated.
გთხოვთ ყურადღებით შეავსოთ წინამდებარე განაცხადის ფორმა. განაცხადის სრული და ჭეშმარიტი შევსება დაზოგავს თქვენს დროს დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას და მისცემს სადაზღვევო კომპანიის ექსპერტებს თქვენთვის საუკეთესო სადაზღვევო პროგრამის შეთავაზების საშუალებას.
გთხოვთ, დარწმუნდეთ რომ ყველა არსებითი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს რისკის ხარისხის განსაზღვრაზე, მითითებულია წინამდებარე განაცხადში.

1. GENERAL INFORMATION:
ზოგადი ინფორმაცია

1.1. The full name of the company, under which it carries an activity/
კომპანიის სრული სახელწოდება:
სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

1.2. Legal address of the company/
კომპანიის იურიდიული მისამართი:
საქართველო, ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4

1.3. Telephones/faxes/e-mail/
ტელეფონი/ფაქსი/ელ-ფოსტა:

1.4. Contact person/
საკონტაქტო პირი:
ანა ჩიქოვანი 599 107 102

1.5. Enumerate types of activities/licences/
ჩამოთვალეთ საქმიანობის/ლიცენზიების სახეები:
ზოგადი - საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარების საფუძველზე, ქვეყანაში მაღალი საექსპორტო შემოსავლების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ან/და სხვა შემოსავლის წყაროს საშუალებით, საქართველოს პოპულარიზაციისა და საერთაშორისო და შიდა ტურისტული ნაკადების ზრდის მიზნით, ტურისტულად მიმზიდველი კომერციული ან/და არაკომერციული ხასიათის ღონისძიებების რეკლამა/პროპაგანდა, ტურისტულად მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.
დაზღვევის მიზნებისათვის - საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის, საბავშვო ევროვიზია 2017-ის ორგანიზება, ქვეყნის პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით

1.6. The date of inception of activity/
მიუთითეთ საქმიანობის დაწყების თარიღი:
თარიღი
2012

1.7. The date of completion of activity
მიუთითეთ საქმიანობის დასრულების
X

1.8. Expected changes in the activity of the company

მიუთითეთ მოსალოდნელი ცვლილებები კომპანიის საქმიანობაში
ასეთი არ არსებობს

1.9. For the past 3 years information about any changes in: name of the company; of juridical or organised form of ownership; legal or actual addresses; unification or consumption of companies; administration/
გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში ნებისმიერი ცვლილებების შესახებ შემდეგთან დაკავშირებით: კომპანიის სახელწოდება; მფლობელობის სამართლებრივი ან ორგანიზაციული ფორმა, იურიდიული ან ფაქტობრივი მისამართი, კომპანიების შერწყმა ან შეძენა , მმართველობა.
არ განხორციელებულა

2. INFORMATION ABOUT PERSONNEL
ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ.

2.1. Indicate the total number of the company's personnel/ მიუთიეთ კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა 60, including/ მათ შორის:
Managers/ ხელმძღვანელები 20, not the full day/ ნახევარ განაკვეთზე X
Workers/ მუშაკები 40, not the full day/ ნახევარ განაკვეთზე X
Experts/Office workers/ ექსპერტები/ ოფისის მუშაკები 52, not the full day/ ნახევარ განაკვეთზე -
-

2.2. In case of hiring foreign employees (workers, experts/office workers) indicate/
უცხოელი თანამშრომლების (მუშაკები, ექსპერტები) დაქირავების შემთხვევაში მიუთითეთ:

Citizenship/ მოქალაქეობა	Number/ რაოდენობა	Occupation/ თანამდებობა	Type of labour agreement/ შრომითი კონტრაქტის სახე
-	-	-	-

2.3. Indicate: a) the sphere of activity and on which conditions experts and workers operate;
b) in which ways their activities are control /
მიუთითეთ: ა. საქმიანობის სფერო და მუშაობის პირობები; ბ. რა გზით ხდება მათ საქმიანობაზე ზედამხედველობა;
საოფისე საქმიანობა ადმინისტრაციულ ცენტრალურ ოფისში და ტერიტორიულ ორგანოებში - ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში

2.4. Indicate company's annual payroll/
მიუთითეთ კომპანიის წლიური სახელფასო ფონდი:

	Employees/ თანამშრომლები, USD
Managers/	46600 ლარი

ხელმძღვანელები	
Workers/ მუშაკები	74300 ლარი
Experts/Office workers/ ექსპერტები/ოფისის მუშაკები	54625 ლარი

3. INFORMATION ABOUT TERRITORY.
ინფორმაცია ტერიტორიის შესახებ.

3.1. Locations, where insured activities are carried out/
მიუთითეთ მისამართი, სადაც ხორციელდება დაზღვეული საქმიანობა:
1) საქართველო, თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N15ა - ოლიმპიური სასახლე

3.2. Describe type and use of the locations (premises, buildings or other)/
აღწერეთ ლოკაციის ტიპი და გამოყენება (შენობა, ნაგებობა ან სხვა):
შენობა-ნაგებობა არის აგებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მასპინძლობის მიზნით. ამ შემთხვევაში აღნიშნულ ეტრიტორიაზე ტარდება საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი - საბავშვო ევროვიზია 2017

3.3. Year the last overhaul was implemented/
გთხოვთ მიუთითოთ ბოლო კაპიტალური რემონტის განხორციელების წელი: შენობის მშენებლობა დასრულდა 2015 წელს. მას შემდეგ რემონტი არ გაკეთებულა.

4. SECURITY.
უსაფრთხოება

4.1. Fire protection systems and facilities/
ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები და საშუალებები:

Used systems and facilities/ გამოყენებადი სისტემები და საშუალებები	Type/ ტიპი
Fire alarm system/ სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა	ანალოგური (ზონური)
Detectors/ დეტექტორები	ანალოგური, კვამლის, wizmart NB326-S-2 CND 2-TUPAS: 377-კვამლის და 20-ღილაკი
Fire-extinguisher (indicate quantity and type)/ ცეცხლჩამქრობები (მიუთითეთ რაოდენობა და ტიპი)	ფხვნილოვანი, 6 კგ.-იანი 55 ცალი
Automatic fire fighting systems/ ავტომატური ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა	არ გააჩნია
Fire brigades/ სახანძრო რაზმი	112 იქნება მობილიზებული 25 და 26 ნოემბერს

4.2. Security systems and facilities/
უსაფრთხოების სისტემები და საშუალებები:

Used systems and facilities/ გამოყენებადი სისტემები და საშუალებებi	Type/ ტიპი
Alarm systems/ სიგნალიზაციის სისტემები	არ გააჩნია
Observation systems/ დაკვირვების სისტემები	6 ცალი
Detectors/ დეტექტორები	არ გააჩნია
Access control systems/ შესვლის კონტროლის სისტემები	1 ცალი ტურნიკეტი უკანა შესასვლელიდან, საჯარო შესასვლელშ ტურნიკეტი არ არის
Security services/ დაცვის სამსახური	125 მობილიზებული იქნება 25 და 26 ნოემბერს
Perimeter protection facilities/ პერიმეტრის დაცვის საშუალებები	125 მობილიზებული იქნება 25 და 26 ნოემბერს

შენიშვნა: ღონისძიების განმავლობაში სიგნალიზაცია და დეტექტორები გათიშული იქნება, რადგან სცენაზე იმუშავებს ბოლის სისტემა.

4.3. Are visitors accompanied while being in the territories, occupied by you?
უზრუნველყოფილია თუ არა ვიზიტორების თანხლება თქვენს მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ყოფნის დროს?

❑ **Yes/**დიახ **X No/**არა

5. INFORMATION ABOUT BUSINESS ACTIVITY.
ინფორმაცია საქმიანობის შესახებ.

5.1. The list of services offered or goods produced/
ჩამოთვალეთ გაწეული მომსახურების ან წარმოებული პროდუქციის სახეები:
წარმოებული პროდუქცია წარმოადგენს ღონისძიებას, კერძოდ საერთაშორისო მუსიკალუ კონკურსს, ამასთან წარმოებული პროდუქცია არის სატელევიზიო შოუ

5.2. Describe production process, types of raw material, goods, production, technological processes used (specially indicate existence of explosive and inflammable material, chemicals, radioactive materials, etc.)/
აღწერეთ წარმოების პროცესი, გამოყენებული ნედლეულის, საქონლის, პროდუქციის, ტექნოლოგიური პროცესების სახეები (განსაკუთრებით მიუთითეთ ფეთქებადი, აალებადი, ქიმიური, რადიოაქტიული და ა.შ. ნივთიერებების გამოყენება):
წარმოების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა სასცენო აღჭურილობა, მათ შორის სცენა, განათებამ გახმოვანება, სცენის დეკორაციები, კამერები, კრანები, გენერატორი და ელ. ენერგიის გამნაწილებელი სისტემები, ბოლის მექანიზმები და სხვა შესაბამისი აღჭურვილობა.

5.3. Indicate the annual turnover/
მიუთითეთ წლიური ბრუნვა: ადმინისტრაციის ბიუჯეტი - 52,464,000 ლარი
ევროგზიის საკარაოდო ბიუჯეტი 6,550,000 ლარი

5.3.1. For operations with residents/
რეზიდენტებთან წარმოებული ოპერაციები: 5,866,606.14 ლარი

5.3.2. For operations with non-residents/
არარეზიდენტებთან წარმოებული ოპერაციები: 539,500.00 ლარი

<u>შენიშვნა: აღნიშნული ოპერაციები მოცემულია საბავშვო ევროვიზიის ფარგლებში.</u>

5.4. If the company has a few offices, indicate each office's share of the total turnover/
თუ კომპანიას გააჩნია რამოდენიმე ოფისი, მიუთითეთ თითოეული ოფისის წილი მთელ ბრუნვაში: X

5.5. Indicate the way the company is presented abroad/
მიუთითეთ, რა სახით არის კომპანია წარდგენილი საზღვარგარეთ:
<u>ორგანიზაციას არ გააჩნია წარმომადგენლობა საზღვარგარეთ</u>

6. INSURANCE.
დაზღვევა

6.1. Indicate required limits of liability/
მიუთითეთ პასუხისმგებლობის სასურველი ლიმიტი:

6.1.1. For public liability insurance/
სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში:
General annual aggregate limit/
წლიური აგრეგირებული ლიმიტი: 500,000 აშშ დოლარი
Each occurrence/
თითოეულ შემთხვევაზე: 100,000 აშშ დოლარი

6.1.2. For employer's liability insurance/
დამქირავებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში:
General annual aggregate limit
წლიური აგრეგირებული ლიმიტი: X
Each occurrence/
თითოეულ შემთხვევაზე: X

6.1.3. For Product liability insurance/
პროდუქციის პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში:
General annual aggregate limit
წლიური აგრეგირებული ლიმიტი: X
Each occurrence/
თითოეულ შემთხვევაზე: X

6.2. Indicate required company's retention in the loss compensations (deductible)/
მიუთითეთ კომპანიის პასუხისმგებლობის წილი ზიანის ანაზღაურებაში (ფრანშიზა):

6.2.1. For public liability/

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისთვის: 500 აშშ დოლარი
6.2.2. For employer's liability/
დამქირავებლის პასუხისმგებლობის დაზღვევისთვის: X
6.3. Indicate whether there were any claims for the past five years towards the business activity of the company or company's employees?/
მიუთითეთ აღძრულა თუ არა კომპანიის ან მისი თანამშრომლების საქმიანობასთან დაკავშირებული რაიმე სარჩელი გასული ხუთი წლის განმავლობაში?

X Yes / დიახ ❑ No / არა
If Yes, give full details/

დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტეთ
<u>შრომითი დავა - სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ აქტის ბათილად ცნობის თაობაზე</u>

6.4. Are you aware of any matter, fact, circumstances or incident existing that could possibly lead to any claim towards the company, its employees or ex-employees?/
არის თუ არა თქვენთვის ცნობილი რაიმე ფაქტი, გარემოება ან შემთხვევა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს თქვენი კომპანიის, მისი თანამშრომლების ან ყოფილი თანამშრომლების მიმართ სარჩელის აღვძრა?

❑ Yes / დიახ X No / არა

If Yes, give full details/
დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტეთ _____

6.5. Is there any other reason of the company's interest in the liability insurance?/
არსებობს თუ არა სხვა რაიმე მიზეზი კომპანიის მიერ პასუხისმგებლობის დაზღვევისთვის?

6.6. Have you previously obtained liability coverage?/
გქონიათ თუ არა პასუხისმგებლობა დაზღვეული?

❑ Yes / დიახ X No / არა

6.7. Period of Insurance: From 25.11.2017 (ჩათვლით) To 26.11.2017 (ჩათვლით)
დაზღვევის პერიოდი

6.8. Additional information/
დამატებითი ინფორმაცია:

I hereby declare that the statements made by me in this Proposal are to the best of my knowledge and belief, complete and true and I hereby agree that in case of false statements, the insurance policy shall become void and all claims hereunder forfeited./

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ აღნიშნულ განაცხადში მითითებული ინფორმაცია სრულია და ჭეშმარიტი და არასწორად მოწოდებული ინფორმაციის შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია ბათილად აღიაროს დაზღვევის ხელშეკრულება და უარი თქვას ზარალის ანაზღაურებაზე.

Authorized Signature of the Insured/

ხელმოწერა

Title of the Signatory: გიორგი ჩოგოვაძე, სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ **პროექტ „Junior Evrovision Song Contest 2017" ფარგლებში მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის მომსახურებების** შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით გაფორმებულ **2017 წლის 22 ნოემბერის N1148** ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელი — გიორგი ჩოგოვაძე

ინსპექტირების და მიღება-ჩაბარების
განმახორციელებელი პირი — ეკატერინე ყოლბაია